საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდ-ვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ხუ-თის გატანა ყველა უპატიოსნობაზე უსაძაგლესია.

ორშაბათი-სამშაბათი, 31 მაისი - 1 ივნისი . 2021 წ. №117-118 (9236-9237) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 1 ლარი

შეუძლებელია არ აღინიშნოს ბიძინა ივანიშვილის დამსახურება, რომელიც იყო ემიგრაციაში, შემდეგ დაბრუნდა და უდიდესი წვლილი შეიტანა ჩვენი ქვეყნის განვითარებაში

დიასპორების განსაკუთრებული მისია

②

„ავუშენდით“!

„ნაციონალური მოძრაობა“ პარლამენტში შედის

პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ პარლამენტში შედის. ამის შესახებ გადაწყვეტილება პარტიამ პოლიტსაბჭოს გუშინდელ სხდომაზე მიიღო. საპარლამენტო საქმიანობაში ჩართვასთან დაკავშირებით პარტიის გადაწყვეტილება საზოგადოებას „ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარემ ნიკა მელიამ გააცნო.

„ნაციონალურ მოძრაობას“ პარლამენტში შესვლისკენ მმართველი გუნდი, პარლამენტში უკვე შესული ოპოზიციონერები და ქვეყნის დასავლელი პარტნიორები რამდენიმე თვის განმავლობაში მოუწოდებდნენ. მათი განცხადებით, პრობლემები საკანონმდებლო ორგანოში მუშაობით უნდა გვარდებოდეს და არა — ქუჩაში, აქციებით. მიუხედავად მოწოდებებისა, „ნაციონალური მოძრაობა“ კვლავ „ცხელ გაზაფხულს“ აანონსებდა...

გიორგი კვესიტაძე

⑤

ბავშვების არაბავშვური პრობლემა

④



კრაზანების ბუდე აფორიაქდა...

ზოგთაგან რქები და ჩლიქებიღა დარჩა

③

როდის გავიგებთ, ვინ არის „ახალი“ გიორგი გახარია?!

1 ივნისი - ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე






დიასპორების განსაკუთრებული მისია

შეუძლებელია არ აღინიშნოს ბიძინა ივანიშვილის დამსახურება, რომელიც იყო ემიგრაციაში, შემდეგ დაბრუნდა და უდიდესი წვლილი შეიტანა ჩვენი ქვეყნის განვითარებაში

ისტორიულად, ყოველთვის გამოკვეთილი იყო დიასპორის როლი ჩვენი ქვეყნის განვითარებაში, — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა **ირაკლი ღარიბაშვილმა** დიასპორის დღისადმი მიძღვნილ ონლაინ-ფორუმზე „ძლიერი დიასპორა ერთიანი საქართველოსთვის“ განაცხადა. მთავრობის მეთაურის თქმით, საერთო ამოცანა უნდა იყოს, რომ ძლიერი დიასპორა გვყავდეს მთელს მსოფლიოში, რაც, საბოლოო ჯამში, ძლიერ საქართველოს ნიშნავს.

„ჩემთვის დიდი პატივია, რომ მოგმართოთ დღეს. ყველას გილოცავთ კიდევ ერთხელ დამოუკიდებლობის დღეს და დიასპორის დღეს. ძალიან ბევრი შეიძლება ვისაუბროთ დიასპორის როლზე ჩვენი ქვეყნის განვითარებაში. ისტორიულად, ყოველთვის გამოკვეთილი იყო დიასპორის როლი ჩვენი ქვეყნის განვითარებაში. ეს სახელწოდება, რომელიც დღევანდელი ფორუმისთვის არის შერჩეული, ძალიან სიმბოლურია, ვინაიდან, ჩვენი საერთო ამოცანა, საერთო იმედი და ოცნება უნდა იყოს ის, რომ ძლიერი დიასპორა გვყავდეს ყველგან, მთელს მსოფლიოში, რაც, საბოლოო ჯამში, ნიშნავს, რა თქმა უნდა, ძლიერ საქართველოს.

ჩვენ არაერთი მაგალითი შეგვიძლია გავიხსენოთ ჩვენი დიასპორის თვალსაჩინო წარმომადგენლების, რომლებმაც ძალიან დიდი წვლილი შეიტანეს არა მხოლოდ ჩვენი ქვეყნის განვითარებაში, არამედ იმ ქვეყნების წინსვლასა და განვითარებაში, სადაც ისინი მოღვაწეობდნენ.

ჩვენ კიდევ ერთხელ უნდა გავიხსენოთ დიდი პატივით გენერალი გიორგი კვინიტაძე, რომელიც ასევე იყო თვალსაჩინო წარმომადგენელი ჩვენი ემიგრაციაში მყოფი ქართველების. იგი არა მხოლოდ საქართველოში მოღვაწეობისას ემსახურებოდა თავის სამშობლოს, არამედ ემიგრაციის რთულ, დრამატულ წლებშიც ინახავდა თავისუფლების, ჩვენი ევროპული მომავლის იდეას.

ასევე, მინდა, აღვნიშნო ჩვენი პრეზიდენტი, ქალბატონი სალომე ზურაბიშვილი, რომელიც დაიბადა და გაიზარდა ემიგრაციაში, შემდეგ დაბრუნდა საქართველოში და რა სიმბოლურია, რომ იგი ახლა არის ჩვენი ქვეყნის პრეზიდენტი“...

ირაკლი ღარიბაშვილის თქმით, დიასპორის წარმომადგენლებს ძალიან დიდი წვლილი აქვთ შეტანილი ჩვენი ქვეყნის, ჩვენი თანამედროვე საქართველოს განვითარებაში.

„არ შემიძლია, არ აღვნიშნო ბატონი ბიძინა ივანიშვილის როლი და დამსახურება, რომელიც ასევე იყო დიასპორის წარმომადგენელი, ასევე იყო ემიგრაციაში მრავალი წლის განმავლობაში და შემდეგ, ყველას კარგად მოგეხსენებათ, რომ იგი დაბრუნდა სულ რაღაც 20 წლის წინ საქართველოში და უდიდესი როლი შეასრულა ჩვენი ქვეყნის განვითარებაში. ეს კიდევ ერთხელ უნდა აღინიშნოს ძალიან დიდი გულისხმიერებითა და გულწრფელობით.

ჩვენ, თუ გადავხედავთ ისტორიას, ჩვენი დიდი ქართველების მოღვაწეობას, რამდენიმე გვარი შეიძლება, რომ კიდევ ერთხელ შევახსენოთ ჩვენს ხალხს — ალექსანდრე ქართველი — ავიაციის ისტორიაში ერთ-ერთი უდიდესი ნოვატორი, აშშ-ის ავიამშენებლობის ერთ-ერთი წამყვანი ფიგურა; ჯორჯ ბალანჩინი — უდიდესი ქორეოგრაფი, ამერიკული კლასიკური ბალეტის ფუძემდებელი; კონსტანტინე სიდამონ-ერისთავი — ნიუ-იორკის ვიცე-მერი, რომელიც უდიდეს როლს ასრულებდა მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი ქალაქის მართვასა და განვითარებაში; ჯონ მალხაზ შალიკაშვილი — სახელოვანი სამხედრო მოღვაწე, პირველი საზღვარგარეთ დაბადებული ადამიანი, რომელმაც უმაღლეს საფეხურს მიაღწია და აშშ-ის შეიარაღებული ძალების მეთაურთა გაერთიანებული კომიტეტის ხელმძღვანელი გახდა. დღესაც არაერთი ჩვენი თანამემამულე საზღვარგარეთ წამყვან სამეცნიერო და საგანმანათლებლო ცენტრებში მუშაობით, შემოქმედებითი თუ სპორტული მიღწევებით არა მხოლოდ საკუთარი დარგის წინსვლას ემსახურებიან, არამედ ჩვენი ქვეყნის საუკეთესო ელჩები არიან“, — განაცხადა მთავრობის მეთაურმა.

როგორც მან აღნიშნა, საზღვარგარეთ მცხოვრები თანამემამულის რეპუტაცია ჩვენი ქვეყნის უდიდესი კაპიტალია.

„თანამედროვე მსოფლიოში, როდესაც დიასპორებს განსაკუთრებული მისია ეკისრებათ, მათ შეუძლიათ საკუთარი ცოდნა, რეპუტაცია თუ ურთიერთობები საქართველოში სოციალურ-ეკონომიკური, კულტურული, პოლიტიკური პროცესების განვითარებას მოახმარონ. ამავდროულად, მათ აქვთ უნიკალური შესაძლებლობა, ხელი შეუწყონ საქართველოს საერთაშორისო პოპულარიზაციას და პოზიტიური იმიჯის განმტკიცებას მთელ მსოფლიოში“.

88 მილიონი დოლარი - ამერიკისგან!

სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ გამოქვეყნებული 2022 წლის ბიუჯეტის პროექტის მიხედვით, აშშ საქართველოსთვის 88 მილიონი დოლარის გამოყოფას გეგმავს.

„აშშ-ის დახმარება ხელს შეუწყობს საქართველოს დემოკრატიზაციას, ეკონომიკურ განვითარებას, ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციასა და კრემლის მავნე გავლენასთან გამკლავებას. დაფინანსება ხელს შეუწყობს ინსტიტუციური ურთიერთშეკავებისა და ურთიერთგაწონასწორების პრინციპის განმტკიცებასა და კანონის უზენაესობას, უფრო ძლიერი სამოქალაქო საზოგადოების განვითარებას; გააუმჯობესებს დამოუკიდებელ, სანდო და დაბალანსებულ მედიაზე წვდომას; ხელს შეუწყობს პოლიტიკურ პლურალიზმს; მხარს დაუჭერს შერიგების მცდელობებს, მათ შორის აფხაზეთში; გაზრდის ენერგეტიკულ უსაფრთხოებასა და ხელს შეუწყობს სუფთა ენერგიის განვითარებას; ხელს შეუწყობს რეფორმებს, რომელიც აუცილებელია ეკონომიკური განვითარების ხელშესაწყობად; ხელს შეუწყობს კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობასა და სოფლის მეურნეობის პროდუქტიულობის გაფართოებას; ხელს შეუწყობს უცხოური ინვესტიციების მოზიდვას. გაზრდილი დაფინანსება ხელს შეუწყობს ენერგეტიკული უსაფრთხოებისა და კიბერუსაფრთხოების, აგრეთვე ეკონომიკური შესაძლებლობების გაძლიერებას და რუსეთის მავნე გავლენის ქვეშ მყოფი მოსახლეობის ინტეგრაციას“, — ნათქვამია სახელმწიფო დეპარტამენტის 2022 წლის ბიუჯეტის პროექტში.



საერთაშორისო სამხედრო განათლებისა და წვრთნის ხაზით „ევროპისა და ევრაზიის“ დახმარების პროგრამისთვის, რომლის ერთ-ერთი ბენეფიციარი საქართველოა, სახელმწიფო დეპარტამენტი 26.9 მილიონი დოლარის გამოყოფას გეგმავს.

ბიუჯეტის პროექტში აღნიშნულია, რომ საერთაშორისო სამხედრო განათლებისა და წვრთნის პროგრამები აძლიერებს როგორც რეგიონულ უსაფრთხოებას, ასევე ურთიერთქმედებას აშშ-ის, ნატოს და ევროპულ შეიარაღებულ ძალებს შორის და ეხმარება რუსული აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლაში.

რაც შეეხება საგარეო სამხედრო დაფინანსების ხაზს, „ევროპისა და ევრაზიის“ დახმარების პროგრამისთვის სახელმწიფო დეპარტამენტი 299 მილიონი დოლარის გამოყოფას გეგმავს, რომლის პრიორიტეტული მიმღებები უკრაინა, საქართველო, ესტონეთი, ლატვია და ლიეტუვა არიან.

პრემიერ-მინისტრი პროკურატურის თანამშრომლებს

პროფესიულ დღეს ულოცავს

საქართველოს პროკურატურის თითოეულ თანამშრომელს გულითადად ვულოცავ პროფესიულ დღეს. კანონის უზენაესობა ის საფუძველია, რომელზეც დემოკრატიული, განვითარებული სახელმწიფო შენდება. მართლმსაჯულების უმნიშვნელოვანეს რგოლს — პროკურატურას საკვანძო როლი აკისრია კანონის დაცვის, დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის, მართლწესრიგის განმტკიცების საქმეში, — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრი, ირაკლი ღარიბაშვილი სოციალურ ქსელში წერს.

მთავრობის მეთაურის თქმით, დღეს საქართველოს პროკურატურა ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული, ევროპული სტანდარტების, დამოუკიდებელი, ეფექტიანი და გამჭვირვალე სახელმწიფო სისტემაა.

სენატის დელეგაცია საქართველოს ეწვევა

ამერიკელი სენატორები, ევროპის ქვეკომიტეტის თავმჯდომარე, ჯინ შაჰინი, რესპუბლიკელი რობ პორტმანი და დემოკრატი კრის მერფი მომავალ კვირას აღმოსავლეთ ევროპას, მათ შორის საქართველოს ეწვევიან. სენატის დელეგაციას, ჯინ შაჰინი უხელმძღვანელებს.

კონგრესის დელეგაცია ლიეტუვაში, ბელარუსის ოპოზიციის ლიდერს, სვეტლანა ტიხანოვსკაიას და ლიეტუვის საგარეო საქმეთა მინისტრს გაბრიელიუს ლანდსბერგისს, უკრაინის ხელისუფლების წარმომადგენლებს და საქართველოში მთავრობის, ოპოზიციის და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს შეხვდება.

საქართველოს შაჰინი და პორტმანი ეწვევიან, **„რათა ეს იყოს ორპარტიული გზავნილი, რომ შეერთებული შტატები დგას საქართველოს გვერდით მათი დემოკრატიის განმტკიცების საქმეში“,** — ნათქვამია „ამერიკის ხმის“ შეკითხვის პასუხად, რედაქციისთვის მიწოდებულ პრეს-რელიზში.

განცხადების მიხედვით სენატორები, სამოქალაქო საზოგადოების და უკრაინის და საქართველოს მთავრობის წარმომადგენლებს შეხვდებიან, **„მათ შორის ოპოზიციური პარტიების ლიდერებს საქართველოში, რომლებიც პარლამენტში არიან“,** — ნათქვამია პრეს-რელიზში.

მიხეილ დუნდუა: ჩვენი სტრატეგიული პარტნიორისგან მხარდაჭერის გაზრდა გამოხატავს მაღალ ნდობას ქართული სახელმწიფოსადმი

ასე შეაფასა ფინანსთა მინისტრის მოადგილემ, მიხეილ დუნდუამ ამერიკის შეერთებული შტატების მიერ საქართველოსთვის 88 მილიონი აშშ დოლარის გამოყოფის ფაქტი.

„ეს არის 2022 წლის ბიუჯეტის პროექტში გათვალისწინებული 88 მილიონის ოდენობის დახმარება საქართველოსთვის. ჩვენ ქვეყანას ეზრდება ამერიკის შეერთებული შტატების მხარდაჭერა. ჩვენი სტრატეგიული პარტნიორისგან მხარდაჭერის გაზრდა გამოხატავს მაღალ ნდობას ქართული სახელმწიფოსადმი და მათ სურვილს, რომ ქვეყანა იყოს განვითარებული და ძლიერი“, — განაცხადა მიხეილ დუნდუამ.

სახელმწიფო დეპარტამენტის 2022 წლის ბიუჯეტის პროექტის მიხედვით, აშშ საქართველოსთვის 88 მილიონი დოლარის გამოყოფას გეგმავს.

როდის გავიგებთ, ვინ არის „ახალი“ გიორგი გახარია?!

პოლიტიკური გაერთიანება ოფიციალურად დააფუძნდა

საქართველოს ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა, გიორგი გახარიამ პოლიტიკური გაერთიანება „საქართველოსთვის“ ოფიციალურად დააფუძნა. სადამფუძნებლო კონფერენციაზე შეკრებილებმა გაერთიანების ხელმძღვანელად გიორგი გახარია აირჩიეს.

პარტიაში აცხადებენ, რომ ყველა პოლიტიკურ პროცესში, მათ შორის, არჩევნებშიც, აქტიურად ჩაერთვებიან.

„ვერთიანდებით საქართველოსთვის, მაგრამ – არავის წინააღმდეგ. დღეს ჩვენი გუნდი იწყებს პოლიტიკურ პროცესებში აქტიურად ჩართვას – საქართველოსთვის. ბოლო პერიოდში, საზოგადოებასთან ერთად, თვალყურს ვადევნებთ პოლიტიკურ პროცესებს. ჩემთვის, და დარწმუნებული ვარ, საქართველოს ბევრი მოქალაქისთვის, აბსოლუტურად ნათელია, რომ დღეს საქართველოს სჭირდება გუნდი, რომელსაც შეუძლია, სიმართლეს თვალი გაუსწოროს, გუნდი, რომელსაც შესწევს უნარი, სიმართლე უთხრას საქართველოს მოქალაქეს; უთხრას სიმართლე იმ გამოწვევებზე, რომლის წინაშეც ქვეყანა დგას და, რაც მთავარია, მოქალაქეებთან ერთად, მათი ჩართულობით, ქვეყანას წესრიგი შესთავაზოს, ოღონდ – სამართლიანი წესრიგი. სამართლიანი წესრიგი არის ის სივრცე, რომელშიც, ყველას ერთად, შეგვეძლება, ჩვენი შესაძლებლობების შესაბამისად, ვემსახუროთ ჩვენს სამშობლოსა და სახელმწიფოს. ყველას კარგად უნდა გვესმოდეს, რომ სიმართლის ძალა მდგომარეობს იმაში, რომ არ უნდა ვიცხოვროთ ილუზიაში. ხანდახან, პოლიტიკური კულტურა, პოლიტიკური ველი გვაცხოვრებს ამ ილუზიაში, მაშინ, როდესაც პოლიტიკურ ძალებს, პარტიებს შორის კინკლაობა, ჩხუბი, შეიძლება, ვიღაცას ქვეყნისთვის პროგრესის მომტანი ჰგონია. არა, სინამდვილეში, კარგ შემთხვევაში, ჩვენ ერთ ადგილს ვტკეპნით, ცუდ შემთხვევაში - ქვეყანა იხევს უკან. ყველას უნდა გვესმოდეს, რომ ჩვენს გასაკეთებელს არავინ და ვერავინ ვერ გააკეთებს, მიზნების მიღწევას, ხშირად, ბევრი საშრომი და მძიმე გადაწყვეტილებებიც გვექნება მისაღები. ამიტომ, ჩვენ ვერთიანდებით საქართველოში და, პირველ რიგში, იმისთვის, რომ ყველამ ერთად ავაშენოთ ძლიერი სახელმწიფო. ნებისმიერი ჩვენი ახალი ხელისუფლება, პირველი რასაც აკეთებდა, დაბეჯითებით ანგრევდა მისი წინამორბედის დატოვებულ შთამომავლობას. იმისდა მიუხედავად, რამდენად გონივრული, ან კარგი იყო ეს შთამომავლობა. ყველას კარგად უნდა გვესმოდეს, რომ ეს იყო ყველაზე ძირითადი მიზეზი, ქვეყნის ერთ ადგილზე დგომის. ჩავთვალოთ, რომ ჩვენ, ყველანი ვაშენებთ სახლს, ჩავთვალოთ, რომ თითოეული ხელისუფლების ვალდებულებაა, ერთი სართული მაინც დააშენოს ჩვენი წინაპრების დატოვებულ ფუნდამენტს. ამ შემთხვევაში, ყველას კარგად უნდა გვესმოდეს, რომ ნებისმიერი ახალი ხელისუფლება, ყველანაირი გონივრულობის ფარგლების მიღმა, როდესაც იწყებს ნგრევას წინამორბედის დატოვებული შთამომავლობის, რა თქმა უნდა, ქვეყანას განვითარების პერსპექტივას უსპობს. ჩვენ იმის ტყვეობაში ვრჩებით, რომ უნდა ვიცხოვროთ მხოლოდ ერთსართულიან ქვეყანაში, ცათამბრჯენების ეპოქაში. რა თქმა უნდა, ეს ჩვენთვის მიუღებელია. ყველანი ერთად უნდა შევთანხმდეთ, რომ უნდა გავერთიანდეთ განახლებისთვის. განახლებისთვის, რომელიც ყველაფერ ცუდს ეტყვის უარს, მაგრამ გაითვალისწინებს ყველაფერს კარგს, ყველა იმ თითოეულ აგურს, ჩვენი ქვეყნის შენებაში, რომელიც შეიძლება ჩვენი მოქალაქეებისთვის, მომავლისთვის იყოს საჭირო“, – თქვა გიორგი გახარიამ ღონისძიებაზე სიტყვით გამოსვლისას.

მმართველ გუნდში ამბობენ, რომ გახარიას პარტია არ იქნება მათი რეალური კონკურენტი, რომელსაც შეუძლია, გავლენა იქონიოს ამომრჩევლის პარტიულ განწყობებზე. მათივე თქმით, გიორგი გახარიასთვის „ქართულ ოცნებასთან“ კონკურენცია რთული იქნება, რადგან მას გაუჭირდება „ქართული ოცნების“ მმართველობის პერიოდის გაკრიტიკება, ვინაიდან ის თავად იყო ამ პარტიის ერთ-ერთი ლიდერი.

გიორგი გახარიას ჯუნდის წევრები

გიორგი გახარიამ ახალი პარტიის „საქართველოსთვის“ ყრილობის ჩატარებისა და მოქალაქეებისთვის მიმართვის შემდეგ პარტიის წევრების შესახებ ისაუბრა.

პოლიტსაბჭოს წევრები არიან:

- **გიორგი ხოჯევანიშვილი – პარლამენტის წევრი;**
- **ნათია მეზვრიშვილი – მთავრობის ადმინისტრაციის ყოფილი ხელმძღვანელი;**
- **გიორგი შარაშიძე – ჟურნალ „ანტერპრენერის“ ხელმძღვანელი;**
- **კახაბერ ძემოკლიძე – მთავრობის ადმინისტრაციის ყოფილი ხელმძღვანელი;**
- **ანა ბუჩუკური – პარლამენტის წევრი;**
- **მიხეილ დაუშვილი – პარლამენტის წევრი;**
- **ბეჟა ლილუაშვილი – პარლამენტის წევრი;**
- **რუსუდან თევზაძე – განათლებისა და კულტურის სფეროს სპეციალისტი;**
- **ალექსანდრე მოწერელია – პარლამენტის წევრი;**
- **ბერდია სიჭინავა – მცხეთა-მთიანეთის ყოფილი გუბერნატორი;**
- **შალვა კერესელიძე – მთავრობის ადმინისტრაციის უფროსის ყოფილი მოადგილე;**
- **კოტე ანანიაშვილი – აჭარის პოლიციის ყოფილი უფროსი;**
- **გიგა ფარულავა – სამართალმცოდნე, ზუგდიდის მერის ყოფილი მოადგილე;**
- **გიორგი გოგუაძე – საერთაშორისო ურთიერთობის სპეციალისტი;**

გარდა ამისა, პარტიის წევრები იქნებიან:

- **ეკატერინე ვეფხვაძე, გიორგი აბაშიშვილი, დავით ფარცვანია, ლაშა მარკოზაშვილი, ტატა ხვედელიანი, გიორგი კიკნაველიძე, საბა ჯიქიძე.**

„ჩვენი პარტიის კარი ღიაა ყველა თქვენთაგანისთვის“, – მიმართა მოქალაქეებს გიორგი გახარიამ.

18 თებერვლის შემდეგ საზოგადოების წინაშე გიორგი გახარია პირველად 29 მაისს საკუთარი პარტიის პრეზენტაციაზე წარდგა. მან თანამდებობა „ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის, ნიკა მელიას დაკავებაზე გუნდში უთანხმოების გამო დატოვა.

გახარია რადიკალურად განსხვავებულ განცხადებებს აკეთებს!..

„გიორგი გახარიას მოულოდნელი გადადგომისა და ოპოზიციური ფლანგიდან პოლიტიკაში მობრუნების შესახებ სულ ვამბობდი, რომ მისგან უამრავ შეკითხვაზე ველოდი პასუხს. გუშინდელ პრეზენტაციაზე მისმა საჯარო გამოსვლამ კი წარმოქმნა გაუგებრობა (რბილადაა ნათქვამი) და ურთიერთწინააღმდეგობა (contradiction). მმართველ გუნდს განეშორა, რადგან, მისი განმარტებით, ამ უკანასკნელმა პარტიული ინტერესები სახელწმიფო ინტერესებზე მაღლა დააყენა. რა გამოდის, ნიკანორ მელიას საფუძვლიანი დაკავება „პარტიული ინტერესია“? თუ დაკავების დროსა და აღსრულებაზეა საუბარი, სამართლებრივ სახელმწიფოში სასამართლოს გადაწყვეტილება უნდა აღსრულდეს და რა გამოდის მაშინ?.. მელია მაინც დააკავეს უპრობლემოდ და „ნაციონალური მოძრაობის“ ნომინალურმა თავმჯდომარემ ქვეყანაში დაუსჯელობის სინდრომი ვერ დაამკვიდრა. ხანმოკლე პოლიტიკური კრიზისი კი გამოიწვია სწორედ გახარიას მოულოდნელმა გადადგომამ. ასევე სრულიად გაუგებარია კორუფციასა და ნეპოტიზმზე თითის გაშვერით საუბარი, როდესაც პრემიერის რანგში სულ სხვა რაღაცას ამტკიცებდა პარლამენტის ტრიბუნიდან. ის, რომ ახალი პარტიისძლიდერშიპიძ ტექნოკრატებით არის დაკომპლექტებული, კარგიცაა და ცუდიც. ვნახავთ, თუ რამდენად შეძლებენ საჯარო პოლიტიკურ ველზე შემოსულები არსებულზე უკეთეს, არაპოპულისტური პოლიტიკების (policies) შექმნას, ტოქსიკურ პოლიტიკურ ველზე მანევრებსა და „საქართველოსთვის“ რეიტინგისა და საარჩევნო დივიდენდების მოპოვებას. რადიკალიზმი არაა პარტიის მიზანი, განაცხადა თებერვალსა და მაისში ერთსა და იმავე საკითხებზე (გადადგომა) რადიკალურად განსხვავებული განცხადებების ავტორმა, გიორგი გახარიამ. უახლოესი პერიოდი გვაჩვენებს ამ პარტიისთანმიმდევრულობის, არარადიკალურობისა და რეალურ პოლიტიკაზე ორიენტირების ხარისხს. არაერთი განაწყენებული ოპოზიციური პარტია გვინახავს, შემდგომში მათთვის არასახარბიელო შედეგებით. დააღწევს კი თავს ამ „კარმას“ გახარია? Remains to be seen... ვნახოთ, ჯერ არავინ იცის“,** – წერს გია აბაშიძე.

„ამერიკის ხმის“ ქართული რედაქცია 70 წლისაა!..

1951-2021

„ახალი ამბები შეიძლება იყოს კარგი ან ცუდი, ჩვენ ყოველთვის სიმართლეს გეტყვით“

– ამ სიტყვებით გახსნა „ამერიკის ხმის“ პირველი გადაცემა, წამყვანმა უილიამ ჰარლან ჰეილიმ ნიუ-იორკის პატარა სტუდიიდან. 26 მაისს „ამერიკის ხმის“ ქართულ რედაქციას კი 70 წელი შეუსრულდა. შვიდი ათწლეულია „ამერიკის ხმა“ ქართველი მაყურებლისთვის ჯერ რკინის ფარდის მიღმა რადიო ტალღებით, ახლა კი ტელევიზიით, განაგრძობს სანდო ინფორმაციის მიწოდებას.

„ამერიკის ხმა“ მეორე მსოფლიო ომის დაწყებიდან რამდენიმე კვირაში შეიქმნა. მისი მიზანი ნაცისტურ პროპაგანდასთან ბრძოლა იყო. სულ მალე, „ამერიკის ხმის“ რადიოტალღებმა, საქართველომდეც მიაღწია. პირველი გადაცემა, ქართულ ენაზე 1951 წელს, დამოუკიდებლობის დღეს, 26 მაისს აუღერდა. მაშინ ოკუპაციის ქვეშ მყოფ საქართველოს „ამერიკის ხმის“ ქართული რედაქციის შექმნა სახელმწიფო მდივანმა აჩესონმა მიულოცა.

„ქართველმა ხალხმა დღემდე შეინარჩუნა თავისი სახეობა და არასდროს მას არ დაუკარგავს ნებისყოფა ადამიანის უფლებების დაცვის ბრძოლაში. ამიტომაც ჩვენში აღფრთოვანებას იწვევს ქართველი ხალხის სულიერი ურყევი სიმტკიცე...„ამერიკის ხმა“ დღეიდან თქვენ, ქართველებს, გაძლევთ საშუალებას საკუთარ ენაზე ამცნოთ ქართველ ხალხს ჭეშმარიტება, რომელსაც კომუნისტები მას უმალავენ“, – განაცხადა აჩენსონმა 1951 წელს.

იხ. 4 გვ.

ზოგთაგან რქები და ჩლიქებილა დარჩა

შევა? არ შევა? საკითხავი აი ეს არის!

ჯერ ისევ ჯანჯლობენ და ფეხს ითრევენ.

ჯერ ისევ ახურებენ, თუმცა, კარგად ხვდებიან, რომ ეს „კევის ლეჭვა“ კარგს არაფერს მოიტანს პირველ ყოვლისა მისთვის – „გაერთიანებული ნაციონალური მოძრაობისთვის“, თორემ „ძართულ ოცნებას“, როგორც ის თვითონვე აცხადებს, სულ ძინაზე ჰკიდია, რას იზამს მისი მთავარი მეტოქე და კონკურენტი: შევა პარლამენტში ხომ კარგი, არ შევა – კიდევ უკეთესი!

ეს რებუსი რომ გავშიფროთ, შემდეგ სახეს მიიღებს: თუ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ გადაწყვეტს და შევა პარლამენტში, როგორც აქამდე ოპოზიციის უმრავლესობა შევიდა, ამით ფაქტობრივად მთლიანად დასრულდება გაჭიანურებული პოლიტიკური ბოიკოტი, რომელიც, კაცმა რომ თქვას, თავის დროზე სწორედ ნაცმოძრაობამ წამოიწყო და ამდენი ვნებათაღელვა გამოიწვია.

თუ ნაცმოძრაობა ვენებს გადაიჭრის და პარლამენტში არ შევა, კიდევ უკეთესი იქნება „ქართული ოცნებისთვის“: რადიკალური ოპოზიციის ეს ხროვა შეიძლება ბაჩუკი ქარდავას ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის დონემდე ჩამოიმეცროს ან, როგორც პრაქტიკა გვიკარნახებს, შეიძლება ფაქტობრივად სულაც გაქრეს პირისაგან მიწისა, მხოლოდ სახელწოდება დარჩეს „ევროპული საქართველოს“ მსგავსად. ეს მაშინ, როცა მან 2020 წლის ოქტომბრის არჩევნებში 27% აქაჩა. ასე იცის, როცა პარტია უმნიშვნელოვანეს საპარლამენტო პრაქტიკას სწყდება.

არადა, რა „იდილიურად“ დაიწყო ყველაფერი: ნაცმოძრაობამ ერთ-ერთმა პირველმა გამოაცხადა არჩევნების „გაყალბება“ და პარლამენტის ბოიკოტი, რაც თითქმის 6 თვე გაგრძელდა და, როგორც იტყვიან, ღმერთსაც და კაცსაც მოაბეზრა თავი. რაც მთავარია, თავი მოაბეზრა თვით ბოიკოტის მონაწილეებს და ისინი თანდათან, ერთმანეთის მიყოლებით შეცვივდნენ პარლამენტში. გარეთ დარჩა მხოლოდ სამი პარტია: „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, „ევროპული საქართველო“ და ლეიბორისტები, რომელთაგან ბოლო ორის გაჭაჭვა სრულიადაც ვერ ახდენს გავლენას შექმნილ მდგომარეობაზე.

საქმე ის გახლავთ, რომ „ევროპული საქართველოდან“, როგორც იტყვიან, რქები და ჩლიქებიღა დარჩა. პარტიამ უამრავი ხალხი დაკარგა „განთესილთა“ სახით, ხოლო რაც შეეხება სიით გასულებს, ისინი პარლამენტში კაი ხანია, შევიდნენ, ოღონდ არა როგორც ამ პარტიის წევრები, არამედ როგორც დამოუკიდებელნი. ისე რომ, მისი „ბოიკოტი“ წმინდა წყლის ფიქციაა.

ერთი სიტყვით, „ევროპული საქართველო“ ისეთ დღეშია, ანა დოლიძე გაოგნებული კითხულობს: როგორ შეიძლება გიგა ბოკერიამ იძახოს – „გინდა თუ არა ბოიკოტიო“, როცა ერთი პატარა სუფრა რომ შეკრიბოს, იმდენი მხარდამჭერიც არ ჰყავსო. უფრო მწვავე შეფასებას იძლევა ალეკო ელისაშვილი: შეხედეთ, ბოკერიამ თავის თავს რა დამართა. დამლაგებელი აღარ დარჩა თავის პარტიაში. ძალიან სასაცილოა: ჩვენი პარტია პარლამენტში არ შევაო! როგორ უნდა შევიდნენ, მანდატი არ აქვთ! ვისაც მანდატი ჰქონდა, ყველა პარლამენტშია უკვე, ოღონდ არა „ევროპული საქართველოს“ სახელით. და რას უცხადებს ბოკერია ბოიკოტს?!

ასეთივე საორჭოფო მდგომარეობაშია „პატრიოტთა ალიანსი“, რომლის წარმომადგენლებიც „ევროპული სოციალისტების“ სახელით შელაგდნენ პარლამენტში, თვით „პატრიოტები“ კი „ობსაიდში“ დარჩნენ, რაიც სამწუხაროა ფრიად! და ახლა ირმა ინაშვილი, რომელიც, ვფიქრობ, თავისი თავის უკმაყოფილოა, სიმწრით ამბობს, ფრიდონ ინჯია სიწუწკეს იჩენს და ცდილობს მისაკუთროს „პატრიოტთა ალიანსის“ კუთვნილი წევრობა საარჩევნო კომისიაშიო. სხვას რას ელოდა?

სამაგიეროდ ერთი მანდატის მქონე ლეიბორისტები, რომლებიც ბოიკოტის პერიოდში თავიანთი ფანჩატურით შევიდნენ ისტორიაში, არ იტეხენ იხტიბარს და ჩვეულებისამებრ ხმაურობენ, თითქოს პოლიტსაბჭოში 10 ნათელაშვილი და 20 გუგავა ჰყავდეთ, არადა მხოლოდ თითო ჰყავთ, ისიც კუდმოჭრილები, მაგრამ მაინც ხმაურობენ.

რაღა დარჩა? ოდენ ნაცმოძრაობა, ხალხმრავლობითა და შთამბეჭდავი რაოდენობის მანდატებით. ოღონდ, რაც დრო გადის, ნაცმოძრაობაც თანდათან იჩუტება. ნიკა მელია ირხევა ვითარცა ლერწამი ქარში. ბევრი იძახა, პოლიტსაბჭოზე გადავწყვეტთო, მაგრამ მანამდე მაინც მიშას შეუფრინა კიევში. ცოცხალი თავით არ ამხელდა, რა სიტყვა ჩამოიტანა ბელადისგან, იმას კი ცრემლმორეული გოდებდა, მიშას დღემდე არ ეძლევა შესაძლებლობა ჩამოვიდეს, სადაც ყოფნა ეკუთვნისო (აქ აშკარად არ გულისხმობდა მატროსოვის ციხეს), გვაიმედებდა, ჩვენ შევხვდებით არა მხოლოდ კიევში, არამედ თბილისშიცო. ეს გახლდათ ნიკას ყველაზე გავრცელებული ახსნა-განმარტება, სადაც აშკარად გამოსჭვივიოდა ყოვლად უიმედო რწმენა, რომ მიხეილ სააკაშვილი ამჯერად მართლა ჩამოვა თბილისში ოქტომბრის არჩევნებისას(?!).

მიშამაც თავის მხრივ უმაღლესი შეფასება მისცა ნიკას კიევში ჩასვლას: ძალიან ბედნიერი ვარ, რომ ნამდვილი გმირი ნიკა მელია მესტუმრაო.

ოღონდ რაღაც უკეთური მაინც გახმიანდა ამ ურთიერთხოტბის აღვლენაში. „ზოგი ჭორებს ავრცელებს, რომ დაძაბული ურთიერთობა გვაქვს მე და მიშასო,“ – როგორღაც თქვა ნიკამ. მოგეხსენებათ, სიზმარს უძილოდ არ ნახულობენ!

ისეთი გულთმისანი კი, როგორიც ნინო ბურჯანაძეა, მოთქვამს: „ნაციონალური მოძრაობა“, „ევროპული საქართველო“ და ჩემი პარტია (?!) ქუჩაში დატოვა იმ ოპოზიციამ, რომელმაც ხელი მოაწერა შეთანხმებას და პარლამენტში შევიდაო.

ნაცმოძრაობა და ევროსაქართველო პირველები რომ შესულიყვნენ პარლამენტში, ბურჯანაძის პარტიას მაინც არაფერი ეშველებოდა თავისი ნულ-ნული პროცენტით, რამაც ერთი მანდატის მოპოვების შანსიც მოუსპო. თავი მხოლოდ იმით შეუძლია დაიმშვიდოს, რომ პარლამენტში შესვლის შანსი ასევე არა აქვს ევროპელ ბოკერიას, რამეთუ ოქტომბერში მოპოვებული მისი მანდატებით კარგა ხანია, პარლამენტში ყელყელაობენ პარტიიდან გასული ევროსაქართველოელები, რომლებმაც, როგორც ვიცით, პარტიას პარლამენტი არჩიეს და სწორადაც მოიქცნენ.

ეს მდგომარეობა ჩვენს ვარდუა მკითხავებს მარჩიელობის შეუდარებელ პირობებს უქმნის. ჰოდა, დიდი გასაქანი მიეცა ორი მომავალი – ჯერ არარსებული ლევან ვასაძისა და გიორგი გახარიას პარტიების შესახებ აჟიოტაჟს.

გახარიას პარტია უკვე მოინათლა ლიბერალურ მიმდინარეობად, რომელიც „ქართულ ოცნებას“ წაართმევს ხმებს, ხოლო ვასაძის პარტია – პრორუსულ, ოღონდ ნაციონალისტურ სულისკვეთებისად და ზოგი უკვე აცხადებს (მაგ. ხატია დეკანოიძე), რომ მას არჩევნებში მონაწილეობის უფლება არ უნდა მიეცესო(?!).

და, აი, 29 მაისს, შაბათს გაიმართა მოქალაქეთა ახალი პოლიტიკური გაერთიანების- „საქართველოსთვის“ პრეზენტაცია. გიორგი გახარიამ გაგვაცნო პარტიის სტატუს-კვო: დღეს ჩვენ ვერთიანდებით საქართველოსთვის, ოღონდ არავის წინააღმდეგ. ეს იქნება გუნდი, რომელმაც სიმართლე უნდა უთხრას ხალხს. ჩვენთვის უმთავრესი იქნება ხალხის მსახურება, სამშობლოს მსახურება. ჩვენს გასაკეთებელს სხვა ვერ გააკეთებს, მოქალაქეებთან ერთად ავაშენებთ ძლიერ სახელმწიფოს. ჩვენ ვერთიანდებით განახლებისთვის, ჩვენი დევიზი იქნება-მხოლოდ სიმართლე! ვიბრძოლებთ, რათა სახელმწიფო დაეფუძნოს ძლიერ ინსტიტუტებს, რომლებიც დაიმსახურებენ მოქალაქეების ნდობას.

ჩვენთვის მთავარი იქნება კორუფციასთან და ნეპოტიზმთან ბრძოლა. უნდა დასრულდეს პოლიტიკური ნიშნით დაყოფა საჯარო სექტორისა. უპირველესი ამოცანებია მართლმსაჯულების, განათლების, სოციალური დაცვის სისტემების რეფორმირება, ძლიერი საშუალო ფენის შექმნა.

ისე, მაგრად კია ნათქვამი!

აქვე ვიტყვი, რომ ოპოზიცია უმალ დაესხა თავს ახალი პარტიის თავმჯდომარეს, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ ამ ორგანიზაციამ კრაზანების ბუდე ააფორიაქა.

ალეკო ასლანიშვილი

„ამერიკის ხმის“ ქართული რედაქცია 70 წლისაა!..

(მესამე გვერდიდან)

ცივი ომის პერიოდში, საბჭოთა კავშირი აქტიურად ახშობდა „ამერიკის ხმის“ რადიო ტალღებს. ამისთვის სპეციალური დასახელებებიც არსებობდა. ხოლო ქართველი მსმენელი საკუთარი თავისუფლების რისკის ფასად უსმენდა, „ამერიკის ხმის“ გადაცემებს ვაშინგტონიდან.

„ქართველმა ხალხმა „ამერიკის ხმის“ მოსმენა 1951 წელს დაიწყო, 26 მაისს, მათი დამოუკიდებლობის დღეს. ამიტომ განსაკუთრებულია, რომ დღეს, როცა საქართველო 103 წლის დაბადების დღეს აღნიშნავს, „ამერიკის ხმა“ მის 70 წლისთავს ზეიმობს. „ამერიკის ხმის“ ქართული რედაქციის თანამშრომელ ქალებსა და კაცებს, საქართველოში ამერიკის საელჩოს ქალების და კაცების სახელით – გილოცავთ“, – ასე მიულოცა, კელი დეგნანმა, შეერთებული შტატების ელჩმა საქართველოში, „ამერიკის ხმის“ ქართულ რედაქციას იუბილე.

„ამერიკის ხმა“ საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე დიდი ისტორიის მქონე მედიაა. ქართული რედაქცია იყო მოწმე ისეთი მოვლენებისა, როგორიც იყო დამოუკიდებლობის აღდგენა, ეროვნულ განმათავისუფლებელი მოძრაობის პერიოდი, სამოქალაქო დაპირისპირება, რევოლუცია, ომი, რუსული ოკუპაცია თუ დემოკრატიისკენ და დასავლეთისკენ გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯები, მათ შორის ამერიკასთან სტრატეგიული პარტნიორობის დამყარება და „ასოცირების ხელშეკრულების“ ხელმოწერა.

„ამერიკის ხმას“ კონგრესი აფინანსებს, ის ათეულობით ენაზე მაუწყებლობს და მის გადაცემებს 2 500-მდე ტელევიზია და რადიო ავრცელებს. ყოველკვირეულად, მას მსოფლიოში 275 მილიონი ადამიანი უსმენს. „ამერიკის ხმას“ შეერთებული შტატების ადმინისტრაციის ჩარევისგან, 1994 წელს მიღებული კანონით ე.წ. კედელი იცავს, რომელიც უკრძალავს თეთრ სახლს, მასზე სარედაქციო გავლენის მოხდენას.

„ამერიკის ხმის“ ქართულ რედაქციას აქვს კრიტიკული როლი, იმის უზრუნველყოფაში, რომ ქართველ ხალხს ჰქონდეს წვდომა, თავისუფალ, გამჭვირვალე და ფაქტობრივ ახალ ამბებზე. მადლობას გიხდით იმ სამუშაოსთვის რაც გასწიეთ, რათა მიგეტანათ სანდო ამბები დახურულ და ავტოკრატიულ საბჭოთა კავშირში და რასაც ახლა აკეთებთ, რომ რუსეთის გავლენებს წინა აღუდგეთ და დემოკრატიულ ღირებულებებს ხელი შეუწყოთ“, – განაცხადა სენატორმა ჯიმ რიშმა, საგარეო კომიტეტის რესპუბლიკელმა წამყვანმა წევრმა.

„ამერიკის ხმის“ ოფისი ვაშინგტონში

მედია გარემოს ცვლილებასთან ერთად, დღეს რადიოს ტალღებიდან „ამერიკის ხმის“ ქართულმა რედაქციამ ტელევიზიის ეკრანებზე გადაინაცვლა. საქართველოში მედიაგარემო, სხვადასხვა ორგანიზაციის შეფასებით, კვლავ არასახარბიელოა და თავისუფალი მედია ხშირად ექცევა ზეწოლის ქვეშ.

„70 წლის განმავლობაში, „ამერიკის ხმის“ ჟურნალისტები და თანამშრომლები თავდადებით მუშაობდნენ, ზოგჯერ საკუთარი სიცოცხლის ფასადაც, რომ სიმართლისთვის ნათელი მოეფინათ. იუბილეს აღნიშვნასთან ერთად, რომელიც საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადების 30 წლისთავს ემთხვევა, გვინდა გამოვყოთ რედაქციაში და ადგილზე ის ადამიანები, რომლებიც რთულ შეკითხვებს სვამენ და გულახდილ პასუხებს ითხოვენ ქართველი ხალხის სანაცვლოდ. თქვენმა გაწეულმა სამსახურმა თავისუფალი მედიის მშენებლობისთვის, რომელიც პასუხისმგებელი მხოლოდ მისი ხალხის მიმართ, საქართველოს დემოკრატიას სიძლიერე შეატა“, – უთხრა „ამერიკის ხმას“ ჯინ შაჰინმა, დემოკრატმა სენატორმა და ევროპის ქვეკომიტეტის თავმჯდომარემ.

„ამერიკის ხმა“ საქართველოში თანამშრომლობს 5 არხთან: საზოგადოებრივ მაუწყებელთან, „ტვ პირველთან“, „ფორმულასთან“, „მაესტროსთან“, აჭარის საზოგადოებრივ მაუწყებელთან და „რეგიონულ მაუწყებელთა ალიანსთან“. აქვს რამდენიმე ტელეგადაცემა და ასევე, აქტიურია ვებსაიტზე, ფეისბუკსა და ინსტაგრამში ანალიტიკური მასალებითა და ორიგინალური სიუჟეტებით.

№ 117-118. ორშაბათი-სამშაბათი, 31 მაისი - 1 ივნისი, 2021 წელი.

გიორგი კვესიტაძე,
საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი

ბავშვების არაბავშვური პრობლემა

დამეთანხმებით, რომ ჩვენი ეპოქის ერთ-ერთი უმძიმესი გამოწვევა საერთაშორისო ტერორიზმია.

განსაკუთრებული ხაზგასმით უნდა აღინიშნოს საერთაშორისო მასშტაბით გავრცელებული, არც ისე დიდი ისტორიის მქონე, სრულიად არაბავშვური, დასაძლევად ურთულესი, საერთაშორისო პრობლემა, ბავშვთა ტერორიზმი. ფაქტიურად ლაპარაკია სამყაროს მომავალზე, მის ბედ-იღბალზე.

ცხადია, ამ მოვლენას აუცილებლად უნდა დაეთმოს, საერთაშორისო ორგანიზაციების დიდი ყურადღება, საზოგადოების მატერიალური და სულიერი რესურსი. მოვლენის განსაკუთრებული სიმწვავე ბუნებრივად გვიმახვილებს ყურადღებას ამ საყოველთაო უბედურებაზე.

არ შეიძლება, არ აღინიშნოს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საგამომცემლო-სარედაქციო საბჭოს გადაწყვეტილებით გამოცემული საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკადემიის წევრის, მეცნიერებათა დოქტორის **დავით სუჯაშვილის** ნაშრომი **„ბავშვები – ტერორიზმის მომავალი“** და მისი სწორი მიგნება, რომელშიც მან სამართლიანად გააანალიზა საერთაშორისო ტერორისტული ორგანიზაციების არაადამიანური, ანტიჰუმანური ქმედება, რაც გულისხმობს ბავშვების გამოყენებას ტერორიზმში. წიგნისადმი ინტერესს აძლიერებს და უფრო რეალურს ხდის, საკვლევ პრობლემასთან დაკავშირებული, ავტორის მეცნიერული ინტერესებისა და პრაქტიკული მოღვაწეობის მჭიდრო კავშირი.

ნაშრომში განხილულია საერთაშორისო ტერორიზმის გავლენის ქვეშ მყოფ ბავშვებთან დაკავშირებული შესაძლო საფრთხე. მოგეხსენებათ, საზოგადოება ნაკლებად მოელის საფრთხეს ბავშვებისგან, თუმცა ტერორიზმის გავლენის ქვეშ მყოფი ბავშვი არა ნაკლებ, თუ არა უფრო მეტად, საშიში იარაღი ხდება საერთაშორისო ტერორისტების ხელში. ნაშრომში სიღრმისეულად გაანალიზებულია პრობლემა და გამოვლენილია ფაქტორები, რომელთა კომპლექსური ინტერაქცია და კომბინირებული გამოყენება აყალიბებს ძალადობრივი ქმედების რისკს ბავშვებსა და მოზარდებში,

ახალგაზრდა მეცნიერი იმაზეც აკეთებს აქცენტს, რომ ძალადობრივ ექსტრემიზმში არასრულწლოვნების ჩართულობის მიზეზები განსხვავებულია და უმეტესად დამოკიდებულია ადგილობრივ (ნიშანდობლივ რეგიონულ) და ინდივიდის პიროვნულ მახასიათებელ ფაქტორებზე. საშიშროება იმაში მდგომარეობს, რომ უკანასკნელ ხანს პანდემიის განსაკუთრებულ პირობებში სოციალური მედიის, კიბერსივრცის განვითარებამ მომავალი თაობის ფსიქიკაზე საკმაოდ სერიოზული ზეგავლენა მოახდინა. დღევანდელ სამყაროში არიან ბავშვები, რომლებიც პირდაპირ ხდებიან ძალადობის მსხვერპლი და ტერორისტული ორგანიზაციები რეკრუტირების გზით აყალიბებენ მათ მოძალადეებად. როგორც ავტორი აღნიშნავს, ამ მოცემულობაში არ უნდა გამოირიცხოს ვირტუალურ სივრცეზე დამოკიდებული ფსიქიკის მქონე ბავშვების რეკრუტირება ტერორისტებად, მით უმეტეს, რომ მსოფლიოში უკვე არსებობს ამის დამადასტურებელი ფაქტები, მაგალითად, ინტერნეტ თამაში „ლურჯი ვეშაპი“, რომელიც მოზარდებს თვითდაზიანებისა, და თვითმკვლელობისკენ უბიძგებს. განსაკუთრებით საყურადღებოა ის გარემოება, რომ საქართველოში საკმაოდ გავრცელებულია ძალადობრივი ელემენტების შემცველი კომპიუტერული თამაშები.

აქვე ავტორი სვამს კითხვას – შესაძლებელია თუ არა ვირტუალური ტერორიზმის წინააღმდეგ ისე ენერგიულად ბრძოლა, როგორც ამ პრობლემის სხვა ფორმების წინააღმდეგ?! აქ დიდი სიფრთხილეა საჭირო. საქმე ის არის, რომ ტერორიზმის წინააღმდეგ შექმნილი ტექნოლოგიები ხშირად ტერორისტების მხრიდანაც გამოიყენება ყველაზე მოწყვლად ჯგუფებში, ბავშვებსა და მოზარდებში. ერთ-ერთი ძირითადი პრობლემა, რომელზეც ნაშრომში ყურადღებაა გამახვილებული, არის ახალგაზრდა, რომელიც პირდაპირ ან ირიბად აღმოჩნდა რელიგიური ტერორის გავლენის ქვეშ, რაც მომავალში უფრო მძაფრად იჩენს თავს. რელიგიური ტერორიზმი ტერორიზმის განსაკუთრებულად მძაფრი ფორმაა, რაც საკითხის სიღრმისეულად შესწავლას არა მხოლოდ რელიგიური, არამედ ფსიქოლოგიური, პოლიტიკური და ფილოსოფიური თვალსაზრისითაც მოითხოვს.

საინფორმაციო საშუალებებს მიჩერებული საზოგადოება დაზაფრული უყურებს ტერორისტული ორგანიზაციების, მათ შორის, ბოლო პერიოდში „ისლამური სახელმწიფოს“ მიერ გავრცელებულ პროპაგანდისტულ ვიდეომასალებსა და პუბლიკაციებს, სადაც ხშირად ფიგურირებენ ბავშვები და მოზარდები. პროპაგანდისტული მედიის საკმაოდ დიდი ნაწილი ეთმობა იმ ძალადობრივი ეგზეკუციების გაშუქებას, სადაც ბავშვები, როგორც ჯალათები, უშუალოდ იღებენ მონაწილეობას. წიგნში რელიეფურად არის ნაჩვენები, რომ ბავშვები და მოზარდები გამოიყენებიან არა მხოლოდ ტერორისტული ორგანიზაციების მიმდინარე ამოცანების შესასრულებლად, არამედ მოიაზრებიან მომავალში რადიკალური იდეების პროპაგანდისა და ძალადობრივი პოლიტიკის გამტარებელ ძალად.

ეძღვნება ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს

ნაშრომში ვრცლადაა გაანალიზებული კიდევ ერთი ფრიად საჭირბოროტო საკითხი: რას მიჰყავს მოზარდები ტერორისტულ ორგანიზაციებთან. ავტორი სამართლიანად აღნიშნავს, რომ ტერორისტული ორგანიზაციების რეკრუტირების ძირითადი მიზეზი არასრულწლოვნების დაუცველობა და მოწყვლადობაა. ეს გარემოება შეიძლება განაპირობოს რამდენიმე ფაქტორმა, მათ შორის, ახალგაზრდების ნებაყოფლობითმა გაერთიანებამ ტერორისტულ ჯგუფებთან მთელი რიგი მოტივების საფუძველზე: განდიდების პერსპექტივა – პატივისცემისა და სახელის მოპოვება; ჯგუფის იდეოლოგიური ზეგავლენის ქვეშ მოქცევა – პირადი კავშირების, მათ შორის ოჯახური და მეგობრული კონტაქტების; ეკონომიკური სარგებლის მიღების ან გრძელვადიანი ეკონომიკური სტაბილურობის ალბათობა; ეკონომიკური სიდუხჭირე; გეოგრაფიული სიახლოვე კონფლიქტის წერტილთან; ჯგუფზე ორიენტირებული და დაფუძნებული იდენტობის ძიება.

ანგარიშგასაწევია დასკვნები და რეკომენდაციები, რომლებიც დიდძალი მასალის სკრუპულოზურ ანალიზს ემყარება. წარმოდგენილია არა მარტო პრობლემის არსი და მიზეზები, არამედ მათი დაძლევის გზებიც, რომლის მიზანია მოზარდების გადარჩენა ტერორისტების ოსტატურად მოქსოვილ ბადეში მოხვედრისგან. ნათელია, რომ ცივილიზებულმა სამყარომ უფრო აქტიურად უნდა დაიწყოს ზემოთ მოყვანილი საკითხების შესწავლა და მოცემული გამოწვევების წინააღმდეგ ბრძოლა. საერთაშორისო ორგანიზაციებმა კარგად უნდა შეისწავლონ რისკ ქვეყნებში ბავშვების ტერორიზმში ჩაბმის შესაძლო ფაქტორები. უნდა შემუშავდეს სტრატეგია ბავშვების და მოზარდების ტერორისტულ ორგანიზაციებში გაერთიანების წინააღმდეგ; გაძლიერდეს სოციალური პროგრამები; ჩატარდეს ცნობიერების ამაღლების ტრენინგები, როგორც სასწავლო დაწესებულებებში, ისე ოჯახსა და იმ პერსონალთან, რომელთაც შეხება აქვთ ბავშვებთან. შემუშავდეს უსაფრთხოების პროგრამები სასწავლო დაწესებულებებისათვის, ასევე სოციალური ქსელები და ტელევიზია გამოყენებული იქნეს ბავშვებისთვის არასწორი ინფორმაციის თავიდან აცილებისა და სწორი ინფორმაციის მიწოდებისათვის. აქტიურად უნდა განხორციელდეს კიბერ სივრცეზე მონიტორინგი, რათა არიდებული იქნას ძალადობის შემცველი პროგრამები,

როგორც მოგეხსენებათ, ტერორიზმი არ არის ერთი რომელიმე ქვეყნის პრობლემა, პრობლემა მზარდია და დიდ საშიშროებებთან არის დაკავშირებული. ამიტომ აუცილებელია, რომ ბავშვებში ტერორიზმის დასაძლევად დაირაზმოს მთელი სამყაროს პროგრესული და ჯანსაღი ძალა. ყოველივე ეს ნათლად ჩანს წიგნში მოყვანილი ფაქტებიდან. აუცილებელია, რომ ამ მიმართულებით საზოგადოების ჩართულობა მნიშვნელოვნად გაძლიერდეს და უფრო მუდმივი ხასიათი მიიღოს, რათა ვიხსნათ კაცობრიობა და მისი ხვალინდელი დღე – მოზარდი თაობა.

1 ივნისს – მზიურის პარკში!

1 ივნისს, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, დედაქალაქის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის და ვაკის რაიონის გამგეობის ერთობლივი ორგანიზებით, თბილისში, მზიურის პარკში, დაგეგმილია სხვადასხვა სახის ბავშვთა გასართობი ღონისძიება. თბილისის მერიის ინფორმაციით, აქტივობები რამდენიმე ლოკაციაზე 16:00-დან 20:00 საათამდე პერიოდში გაიმართება.

პარკის სცენაზე წარმოდგენილი იქნება საბავშვო სტუდიების კონცერტი, თოჯინების თეატრის წარმოდგენები ბავშვებისთვის და ზღაპრის გმირების მიერ გათამაშებული სხვადასხვა გასართობი აქტივობები. დღის განმავლობაში ღონისძიებები განხორციელდება ღია სივრცეში.

1 ივნისს ღონისძიების მიმდინარეობისას, თბილისი – წიგნის მსოფლიო დედაქალაქის ფარგლებში, გაიმართება საბავშვო ლიტერატურისა და ხელნაკეთი ნივთების გამოფენა-გაყიდვა, მეზღაპრის კუთხე და სხვადასხვა აქტივობა. მთელი დღის განმავლობაში, ბავშვებს სხვადასხვა სახის ტკბილეული უფასოდ გადაეცემათ, მათ განწყობაზე კი ზღაპრის გმირები იზრუნებენ.

დასწრება თავისუფალია.



მუმლი მუხასაო!

როსტომ ჩხეიძის ბიოგრაფიული რომანი ილია მაჩაბელზე

...ეს ხალხური სიმღერა ტკივილიანი ამონათქვამია, მოთქმა-ამოძახილია ღირსეულ, ძლიერ პიროვნებაზე, რომელსაც მტრები თუმც შემოხვევიან, თანაც უთვალავნი, მაინც არ ეპუება, არ ეთელინება და... იმარჯვებს! ასე გამარჯვებად დგას ტოტებგაგამარჯღულ მუხასავით უდაბნოში როსტომ ჩხეიძის ბიოგრაფიული რომანის გმირი **ილია ჭავჭავაძე** (ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოება და „ჩვენი მწერლობა“, 2020), რომლის სახელის უკვდავყოფა გამარჯვებაა იმ უთვალავ მტერზე, იქნებ მტერ-მოყვარეზეც, სიცოცხლესა თუ ფიზიკური სიკვდილის შემდგომ, ორი საუკუნის მანძილზე, მართლმადიდებლურმა ეკლესიამ წმინდანად რომ შერაცხა იგი. ის 28-ე რომანია ავტორისა, არა, არა 28-ე, ვინ დათვლის მერამდენე, ეპოქების მატიანედ რომ ქცეულა გაცოცხლებულ აჩრდილთა შესახებ... აჩრდილი – გაცოცხლებულ-გარდასახული რომანის ავტორში – მევრია, რამდენადაც ეს მთელი სამყაროა თავისი ადამიანებით, ვნებებით, კომუნიკაბელობითა თუ ნიჰილიზმით ილიას პიროვნების მიმართ, სისხლში ხელგასვრილი თუ სიტყვაში, სიტყვით მსროლელნი, პირადად, ფიქრში, ჟურნალისა თუ გაზეთის ფურცლებზე... რამ და როგორ შეიყარა ეს მუმლი-მამლი ერთი კაცის წინააღმდეგ, იქნებ ილიას ბანაკის წინააღმდეგაც...

ამაზე მოგვითხრობს როსტომ ჩხეიძე, რომელიც ილიას ბიოგრაფსაც ეხება (იონა მეუნარგია), ლიტერატურათმცოდნეებსაც (პავლე ინგოროყვა), მეგობარ-თანამშრომელთა მოგონებების დამტოვებლებსაც და წარმოაჩენს მას სრულიად თავისუფლად, ყოველგვარი წნეხისგან, დირექტივისგან თავისუფალი, ამას ან იმას არ ეწყინოსო, ხსოვნა არ შეელახოსო.

სიმართლე და მხოლოდ სიმართლე, დანახული ადამიანისგან, რომელმაც როგორც პრიზმაში, ისე გაატარა ეპოქა, ადამიანები, ილიას მთელი ბიოგრაფია.

აქ ბიოგრაფოსი მხოლოდ ისე ავითარებს, მოჰყავს დეტალები, როგორც სჭირდება რომანის ქარგას, რომელიც ქარგაც არაა, უფრო ილიადან გამოსული და ილიაში გადასული ავტორი XX-XXI საუკუნეების შვილი, ინტელიგენტი, მოაზროვნე...

წიგნი დიდია, უზარმაზარი, წაკითხვას დრო სჭირდება, დაფიქრებული წაკითხვისთვის დრო. აიღებ თავს და უეცრად იტყვი: ეს საკითხი სადა�აა - და მაშინვე ამოტივტივდება, გაიშლება ფიანდაზივით, ათასნაირი ორნამენტით რომ არ წაგტაცებს თვალს, ნაცნობს გაგიშლის და უცნობს დაგანახვებს. ამ უცნობს გასაგებად და დასაფიქრებლად წარმოგიდგენს, ეპისტოლურ მემკვიდრეობაში ამოცნობილს, აჩრდილში გაცოცხლებულს, დროსა და სივრცეში ასე ახლობელს და შენთან მოსაყვანს, სულსა და გულში გავლილს და სხვასთანაც, ვისაც არ წაუკითხავს ეს წიგნი, გასატარებელს, საიდანაც რჩება რაღაც ნალექი, ნალექი სევდისა და იმის განცდისა: ვიცოდით, ვინც იყო ილია, და მაინც თურმე რა კაცი ყოფილა, შუქი დარჩა მისგან მომდინარეო.

მუხასთან ახლოს მყოფი უდაბნოს ბალახი გაიგებს, მუმლი-მამლი კი ვერა, ისევ მოინდომებს მუხის დაძირვას, ვერ შეძლებს, ვერ გასწვდება ძალა, რადგან სწორედ მუხაშია ძალა.

სწორედ ეს დაგვანახა როსტომ ჩხეიძემ თავის ბიოგრაფიულ რომანში „მუხა უდაბნოში“...

* * *

ბიოგრაფიული რომანი ატარებს ან არ ატარებს ნამდვილი რომანის ნიშნებს, ამისი მიზეზი სწორედ მის დეფინიციაშია და, თუმცა როსტომ ჩხეიძე არცთუ იშვიათად თავს მხოლოდ „ბიოგრაფოსს“ უწოდებს, მწერალიცაა, ნაღდი, გამოცდილი, უკიდურესად ნიჭიერი მწერალი. სწორედ ეს ნიშნები განსაკუთრებით იჩენს თავს ილია ჭავჭავაძისადმი მიძღვნილ ბიოგრაფიულ რომანში „მუხა უდაბნოში“.

ეს მოჩანს თვით სათაურშიც, რამეთუ თავად სათაურიც გასიმბოლურებულია და, იმავდროულად, მინიშნებაცაა ილიას პიროვნებისა და მისი გარემოს სიმბოლიკაზე, მინიშნება „ილია ჭავჭავაძის ცხოვრების ქრონიკა“ უკვე ბიოგრაფიაზეა აქცენტირებული. თუმცა მთლად ასე არაა. მწერალს შეუძლია რომანის მოქმედება თუნდაც შუა წლებიდან დაიწყოს, თუნდ დასასრულიდან.

ამ კუთხით „მუხა უდაბნოში“, როგორც თვით ავტორი მიანიშნებს წიგნის გარეკანზე გაკეთებულ ბოლოსიტყვაში: „და აჰა ილია ჭავჭავაძეც უნდა გამოცხადებულიყო და გახვეულიყო თხრობის მღელვარებაში (ერთად გავხვეულიყავით!), მისი მონუმენტურობისათვის შესაფერისის, საქართველოს სახელმწიფოებრივი მოწყობის პროგრამაც რომ უნდა გადმოსულიყო და ჩაფენილიყო მისი ცხოვრების ქრონიკაში, ასერიგად აუცილებელი და სასიცოცხლო საერთაშორისო ასპარეზზე ღირსეულად დამკვიდრების წინ, ღირსეულად, თორემ მაჩანჩალობასა და კუდიმდევრობას არ დაგვანებებენ არც ილია და არც სხვა მოჭირნახულენი ჩვენი ქვეყნისა“.

ილიასადმი მიძღვნილმა რამდენიმე პიესამ არ დააკმაყოფილა როსტომ ჩხეიძე, რამდენადაც „ბიოგრაფიულ რომანთა ციკლის მიღმა რჩებოდა ილიას მონუმენტური ფიგურა, უიმისოდ რომ არ წარმოისახებოდა არაერთი პიროვნების ცხოვრება, თუმცა ესეც ხომ არ შეიძლებოდა, ილია გაუთავებლად ყოფილიყო რიგითი პერსონაჟი და შესაბამისად – ყველგან და არსად“.

ამდენად, რამდენადაც კარგა ხანს ვერ მოხერხდა რომანის კომპოზიციური აღნაგობის მონახვა, ილიას ცხოვრებაც საბოლოოდ სწორედ ოთხთავისებურად – ოთხ კარად დაეწყო ავტორისეული გააზრებიდან გამომდინარე.

პირველი კარი დასათაურდა ასე: „აჩრდილი ბაირონისა“, მეორე – „გმირის დამბადი დიდი საგანი“. თავებს ავსებს „კვლავ მკითხველისადმი“ მეოთხე თავი და „კვლავ მკითხველისადმი“ გაცოცხლებულ აჩრდილთა ფანტაზირებული მონათხრობებია „მუმლებისა“ და „მამლებისა“ ილიას მტერთა და მოყვარეთა, მტერ-მოყვარეთა. სწორედ ის მონათხრობები აჯერებს მკითხველს ავტორის თვალთახედვის ჭეშმარიტებაში, არადა ამდენ თავისებურ, ჟანრობრივად განსხვავებულ ჩანართად მოჩანს, რაც არ არღვევს ბიოგრაფიული რომანის სიუჟეტურ ქარგას, პირიქით – პუბლიცისტური მსჯელობიდან გადაჰყავს მკითხველი მწერლის მიერ შექმნილ რეალობაში. აქ კი დრო – სივრცე ისეა აღრეულ-გადახლართული ილიას თანამედროვეთა თუ XX საუკუნის ადამიანთა, ლიტერატურათმცოდნეთა თუ მწერალთა, უბრალო ადამიანთა შემოყვანით თხრობაში, ილიას ირგვლივ რომ ტრიალებს ეს ყოველივე და მისი უხილავ-ხილვადი გარსის ნაწილია.

დასრულებული კია თითოეული კარი? დასრულებული არაა, თითქმის უსასრულო, რასაც ხან მეორე კარი ავსებს, ხან მესამე, ხანაც – მეოთხე...

აქ არაა აუცილებელი დასრულებაც, რამდენადაც არ სრულდება გზა ცხოვრებისა, მეორდება იგი ახალ ქმედებებში მთავარი პერსონაჟის ირგვლივ...

უამრავი კითხვა წარმოიშვება მკითხველის წინაშე, რაზეც პასუხი თავად უნდა აღმოაჩინოს, გაჰყვეს მწერლის და მოაზროვნის ფანტაზიას, გადავიდეს ერთი თემიდან მეორეში, რათა აპოვნინოს მას ახალი მოსე წინასწარმეტყველი, რომელიც ერის წინამძღოლად აღმობრწყინებულა ყვარელის თავზე...

ერთი მაგალითიც საკმარისი იქნებოდა ან არ იქნებოდა ამის დასტურად:

ილიას, როგორც მოაზროვნეს, პირველად შეხებულს და შეჭრილს უცხოური ენიდან თარგმნის სამყაროში, კარგად ესმოდა, რომ სწორედ უცხოური ნააზრევიდან უნდა გამოეყვანა ქართველი პატარა, დაპყრობილი ქვეყნის კარჩაკეტილობისაგან. სწორედ ამიტომ მის ღირსეულად გადმოღებას, დროულ გადმოღებას ანიჭებს მნიშვნელობას. ასე ითარგმნება შექსპირის „მეფე ლირი“, ილიას კარგად ესმის – შექსპირი ღირსეულად უნდა შემოვიდეს ქართულ ცნობიერებაში, ამისთვის მას სჭირდება წყარო ენის – ორიგინალის – სიღრმისეული ცოდნა და ქართულ სიტყვათა საოცარ ლექსიკურ მარაგში პოეტურად ჩამოყალიბებული ფრაზის აღმოჩენა. ეს მან შეძლო ივანე მაჩაბლის გვერდით – ეს იყოს გზის გახსნა ახალგაზრდა მთარგმნელისთვის, ამიტომ „შეატოვა“ შემდგომად მას შექსპირი. პირადი უთანხმოება სხვა იყო, სხვა ნიადაგზე, მთარგმნელობითი საქმე – სხვა.

პოეზიის თარგმანების გარდა როსტომ ჩხეიძე ყურადღებას ამახვილებს ერთ თარგმანზე, რომელიც დროთა განმავლობაში ლიტერატურათმცოდნეთა თუ თარგმანმცოდნეთა თვალთახედვით ითვლებოდა უსუსტეს თარგმანად, არადა აქაც მოუძებნის პასუხს პერსონაჟს, ილიას. დეტექტური ჟანრი უცხო იყო ქართველი მკითხველისთვის (თუ მხედველობაში არ მივიღებთ „ტფილისის საიდუმლოებანს“), არადა ისეც უნდა გაეცნო მკითხველს, გასცნობოდა და ილიამაც კომერციული, მენეჯმენტური გათვლით, ჰკიდა ხელი ალექსი ბუვიეს „იზას“ თარგმანს, რომელიც XX საუკუნეშიც ითვლებოდა გასართობ წასაკითხად. ასე „დაიბადა“ თარგმანი, არა სანიმუშო, არამედ გასართობ-გამტაცებელ-მიმზიდველი. უცნაურია, მაგრამ მიუხედავად წყარო ენისა თუ თარგმანის გამოყენებისა, იკითხება კარგად, ინტერესით. აქ მარტო უცხოელი ავტორის ღირსება არაა საკმარისი, არამედ ღირსეული „ძაფი“ სიუჟეტის უწყვეტობისა აძლევს მას მიმზიდველობას, მანვე შემოიტანა ხმარებაში სხვა სიტყვებთან ერთად თანამედროვე ტერმინი გამომძიებლისა, რუსულიდან პირდაპირ კალკირებულად გადმოღებული „ტაინთღ სლედოვატელქ“– „ჩუმად მაძიებელი“.

ასევე ყურადღება მახვილდება გეორგ ებერსის ცნობილი რომანის „რამეთუ კაცი ვარ“ ქართულ თარგმანზე, რომელიც შემოგვინახა მხოლოდ „ივერიის“ არქივმა და ფაქტობრივად გახსნაა „განდეგილის“ აზრობრივი შინაარსისა.

ოლღა გურამიშვილთან ჯერ სატრფიალო ურთიერთობის, შემდგომად ღირსეული, მოყვარული მეუღლის ისტორია რამდენიმე კარს მიჰყვება. ესაა რომანის ავტორის მიერ ოლღას მიერ სათუთად შენონახული წერილებიდან ამოკითხული, შემოქმედებითი თუ პიროვნული გახსნისათვის რომ სჭირდება როსტომ ჩხეიძეს.

ილიას მხოლოდ დადებითის ჩვენებით არ იფარგლება რომანის ავტორი. ილია არაა მხოლოდ იდეალი, იგი ადამიანიცაა. ადამიანური სისუსტეები კი აშკარად ჩანს, ამას გამართლება არ სჭირდება, მხოლოდ ჩვენებაც საკმარისია, რათა მკითხველმა კარგად დაინახოს ილია, არ იუცხოოს, ასეთი პორტრეტი, მიუკერძოებელი და რეალისტური, და თავადაც ღრმად გაერკვეს მუმლი-მამლისადმი დამოკიდებულებაში...

ეთანხმება თუ არა რომანის ავტორი ლიტერატურათმცოდნეთ? ეთანხმება, დიახაც ეთანხმება პავლე ინგოროყვას, მისი ერთი პირველი, ბიოგრაფიული რომანის მთავარ პერსონაჟს, ღირსეულ მკვლევარს. გამოხატავს სინანულს ლევან ასათიანისა, ილიას ცხოვრების გზის აღწერის ვერმომსწრების.

ილიას მკვლელობის ისტორიის ამოხსნა დღეისთვის ისევ რჩება ბურუსით მოცულად. აქ ბიოგრაფიული რომანის ავტორი მკითხველს თან ახვედრებს, თანაც ტოვებს კითხვებს სამომავლოდ...

დაიბადა არაჩვეულებრივი რომანი, ნიმუში ბიოგრაფიული რომანისა ილია ჭავჭავაძეზე, იაკობ ნიკოლაძის იმ ცნობილ მონუმენტს რომ მოგვაგონებს: „მარად და ყველგან, საქართველოვ, მე ვარ შენთანა“.

დიახაც, ძეგლი დაუდგა ავტორმა ილიას, მეორე ძეგლი, არანაკლებ დიდი და მონუმენტური.

ასეთია სწორედ „მუხა უდაბნოში“.

თამილა გოგოლაძე

შეხვედრა სახელოვნებო განათლების რეფორმასთან დაკავშირებით

საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრმა თეა წულუკიანმა სახელოვნებო განათლების რეფორმასთან დაკავშირებით მორიგი შეხვედრა გამართა. თეა წულუკიანი მინისტრის პირველ მოადგილესთან, კახა სიხარულიძესა და მოადგილესთან, იოსებ ბაღათურიასთან ერთად, საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის, თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის და თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ხელმძღვანელობას და სხვადასხვა სამსახურის უფროსებს შეხვდა.

შეხვედრაზე შედგა შეთანხმება სამომავლო რეფორმის ძირითად მიმართულებებზე. კულტურის სამინისტროს სისტემაში უმაღლესი სასწავლებლების რეფორმისას აქცენტი გაკეთდება ხარისხზე და იმაზე, რომ მომავალში არასოდეს იყოს წყვეტა პროფესიებში, რათა სისტემამ საკუთარი ძალებით შეძლოს როგორც თეატრში – სცენის პროფესიულ დონეზე განათება, ასევე კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების უმაღლეს დონეზე კონსერვაცია-რესტავრაცია.

მინისტრი „სუხიშვილებს“ ესტუმრა

საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრი თეა წულუკიანი სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ ორგანიზაციებთან შეხვედრების ფარგლებში სსიპ ილიკო სუხიშვილისა და ნინო რამიშვილის სახელობის ქართული ნაციონალური ბალეტის სახელმწიფო აკადემიური დასის ხელმძღვანელობას შეხვდა. დასის დირექტორისა და სამხატვრო ხელმძღვანელისგან მინისტრმა მათი საქმიანობის შესახებ მიიღო ინფორმაცია და თავის მხრივ, სამინისტროს რამდენიმე ინიციატივა გააცნო.

გარდა ამისა, თეა წულუკიანმა დასის ხელმძღვანელობას სამინისტროს პრიორიტეტებიც გააცნო და აღნიშნა, რომ სამინისტროს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტი რეგიონებში კულტურაზე ხელმისაწვდომობის გაზრდაა. აქედან გამომდინარე, მინისტრმა დასის ხელმძღვანელობას საქართველოს რეგიონებში ტურნეების გამართვაში მხარდაჭერა აღუთქვა.

ᲠᲝᲪᲐ ᲬᲘᲒᲜᲘ ᲔᲠᲗᲘ ᲐᲛᲝᲡᲣᲜᲗᲥᲕᲘᲗ ᲘᲙᲘᲗᲮᲔᲑᲐ...

„ᲛᲐᲠᲗᲚᲛᲡᲐᲯᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲐ ᲛᲔᲢᲠ ᲤᲠᲐᲜᲡᲣᲐ ᲠᲐᲑᲚᲔᲡᲘ“ – ასე ეწოდება პროფ. **გიორგი გოგიაშვილის** ნაშრომს (თბილისი, გამომცემლობა „მერიდიანი“, 2021, 157 გვ.), რომელიც ფრანგული ჰუმანიზმის ხანის უდიდესი მოაზროვნის და ენციკლოპედისტის, **ფრანსუა რაბლეს** უბერებელი პენტალოგიის **„გარგანტუა და პანტაგრუელის“** უაღრესად ღრმა შესწავლას ეფუძნება.

თავიდანვე უნდა აღინიშნოს, რომ ბევრი ერი ვერ დაიკვეხნის, რომ ეს უკვდავი და ყველა დროისთვის აქტუალური ხუთწიგნეული საკუთარ ენაზე აქვს ნათარგმნი. ქართველი მკითხველისთვის კი ხელმისაწვდომი იგი მრავალწლიანი ტიტანური შრომის შედეგად ქართველმა რაბლეოლოგმა (ეს დარგი არსებობს) გურამ გოგიაშვილმა გახადა.

ფრანგი ისტორიკოსი **მიშლე** აღტაცებული იყო ამ ნაწარმოებით. **„რაბლე უფრო დიდია, ვიდრე არისტოფანე და ვოლტერი. იგი ისევე დიდია, როგორც შექსპირი... ჩვენი მწერლებიდან არავის თავისი დროის ასეთი სრული სურათი არ დაუხატავს... ეს ენციკლოპედიაა. აი, რატომ სჯობს იგი სერვანტესსაც კი.“** ფლობერი მას ჰომეროსის, შექსპირის და გოეთეს გვერდით აყენებდა. მის საქებარ სიტყვებს არც ვოლტერი იშურებდა. აქვე უნდა ითქვას, რომ 2004 წელს არიზონას უნივერსიტეტის პროფესორმა **ე. ჩ. ზეგურამ, რაბლეს სქელტანიანი ენციკლოპედიაც კი გამოსცა.**

რაბლეს წიგნი ხალხში დაიბადა. თავდაპირველად იგი პატარა მარცვალს წარმოადგენდა. რაბლემ იგი გაზარდა და მიწაში ღრმად ფესვებგადგმულ უზარმაზარ ხედ გადააქცია, რომლის ტოტებიც ცას ეხება. ეს შედეგრი ნაწილ-ნაწილ წლების განმავლობაში გამოდიოდა. ნაწარმოები სატირის სტილით არის დაწერილი და ალეგორიულად სრულად ასახავს იმდროინდელი საფრანგეთისა და, ზოგადად, ევროპის ყოფას, იმ დუღილს და ცვლილებებს, რაც აღორძინების ხანას მოჰყვა. იცვლებოდა შეხედულებები, მიმდინარეობდა ღირებულებების გადაფასება და ა.შ. თვით რაბლე ადვოკატის ოჯახში დაიბადა, პროფესიით ექიმი იყო, თუმცა მრავალმხრივად განათლებული ადამიანი იყო. კარგად იცოდა უცხო ენები, ისტორია, ფილოლოგია, ღვთისმეტყველება და ა.შ. არის მოსაზრება, რომ მას ბურჟის იურიდიული ფაკულტეტიც ჰქონდა დამთავრებული, თუმცა ეს დოკუმენტურად არ მტკიცდება.

1532 წელს რაბლემ წერილით მიმართა **ერაზმუს როტერდამელს.** ერაზმუსი იმდროინდელ საზოგადოების **„გონთამპყრობელს“** და ყველა ჰუმანისტისთვის უპირობო ლიდერს წარმოადგენდა. იგი ქალაქიდან ქალაქში გადადიოდა ლექციების წასაკითხად. მისი ცოდნის შესახებ ლეგენდები დადიოდა. სტუდენტები ევროპის ნებისმიერი კუთხიდან მოედინებოდნენ იქ, სადაც ერაზმუსი ლექციებს კითხულობდა. წარმოშობით ჰოლანდიელი ერაზმუსი წლების განმავლობაში ცხოვრობდა ინგლისში, იტალიაში, საფრანგეთში. მისი ვიზიტი თითოეული ქვეყნისთვის პატივი იყო. ერაზმი საკუთარ თავს რომელიმე ეროვნებას არ უკავშირებდა. იგი ამბობდა – მე საფუძველი არ მაქვს, საკუთარ თავს ფრანგი ვუწოდო, თუმცა ამის უარყოფაც არ შემიძლიაო. რაბლე თავის წერილში მას მამას უწოდებს. ერაზმუს როტერდამელი 4 წლის შემდეგ გარდაიცვალა. მართალია, რაბლეს სიცოცხლეში არასდროს მიუღწევია ასეთი აღიარებისთვის, თუმცა სიკვდილის შემდგომი დიდება კიდევ უფრო თვალისმომჭრელია.

ჰუმანისტების ეპოქაში ევროპაში ერების ჩამოყალიბების პროცესი მიმდინარეობდა. რაც ერთი მონარქის ხელისუფლების ქვეშ სახელმწიფოთა მიწა-წყლის გამსხვილებაში მდგომარეობდა. ამას წინ უსწრებდა სახელმწიფოთა დაქსაქსულობა, შინაომები, განკერძოებისკენ მისწრაფება, რის წინააღმდეგაც ისწრაფვოდნენ ფრანცისკ I, ლუდოვიკო XI და სხვე-ბი. რაბლეც მხარს უჭერს ქვეყნის სიძლიერეს და ერთიანობას. შემთხვევითი არ არის, რომ ნაწარმოებში ომის ერთერთ წამომწყებს, დიპსოდიის მეფეს იგი ანარქს არქმევს. ომს პიკროშოლსა და ანარქს შორის რაბლე შიდა არეულობას უწოდებს. მეფე გრანგუზიე პლატონს იშველიებს, რომელიც ბერძნებს შორის სამხედრო შეტაკებებს ომს არ უწოდებს. აქვე უნდა ითქვას, რომ პიკროშოლმაც და ანარმაც სავალალო შედეგით დაასრულეს თავიანთი მოღვაწეობა. რაბლე ნაწარმოების გმირის, პანურგის პირით პიკროშოლისა და ანარქის შესახებ ერთგვარ რეზიუმეს აკეთებს, როცა პანურგი მეფეებს აკრიტიკებს ხალხის საზიანოდ მიმართული თავიანთი დაუკმაყოფილებელი მისწრაფებების და ომების გამო.

რაბლე თვლის, რომ დაუშვებელია ხალხების ნების წინააღმდეგ წასვლა, მათ საქმეებში ჩარევა, მათი ძარცვა და მათზე მძლავრობა. ორივე მხრისთვის ეს ცუდად მთავრდება. **იგი ხალხთა ნებაყოფლობითი კავშირის მომხრეა.** ასეთ შემთხვევაში მათზე თავდასხმას ვერავინ გაბედავს. მისი აზრით, ძლიერმა სახელმწიფომ კეთილგანწყობა უნდა გამოავლინოს უფრო სუსტის მიმართ და ეს უკანასკნელი თვითონ მივა მასთან. ამგვარად, რაბლემ თითქმის ხუთასი წლის წინ გამოთქვა მოსაზრება ხალხთა გაერთიანების შესახებ.

რაბლე მონარქიის ფორმაზეც მსჯელობს. მას მიაჩნია, რომ მისაღებია მემკვიდრეობითი მონარქია, რომელსაც საფუძვლად ღვთისგან წარმოშობა არ უდევს. იგი ამტკიცებს, რომ არიან მეფეები, ჰერცოგები, პაპები, რომლებიც მაღალი წრიდან არ არიან წარმოშობილნი.

რაბლემ დააყენა უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური პრობლემა – როგორი უნდა იყოს მონარქი, რაც ჰუმანისტებისთვის ერთერთ უმნიშვნელოვანეს საკითხს წარმოადგენდა. ჰუმანისტებმა განათლებული მონარქიის იდეა წამოაყენეს

რაბლეს წიგნში გრანგუზიეც, გარგანტუაც და პანტაგრუელიც სწორედ განათლებული მონარქიის იდეის გამტარებლები არიან. გრანგუზიე გაუნათლებელი იყო, თუმცა ჭკუით და პრაქტიკული უნარებით დაჯილდოებული კაცია. იგი ზუსტად ისეთია, როგორც მისი ქვეშევრდომი უბრალო ხალხი და რომელიც შემთხვევის წყალობით აღმოჩნდა მეფის ტახტზე.

მწერალმა ეს სიმბოლურად გამოხატა მის გოლიათურ სიდიდეში. როცა მიხვდა, რომ მისი შვილი გარგანტუა ვერაფერს სწავლობდა სქოლასტიკის სკოლაში, მან შვილს დაუყოვნებლივ შეუცვალა მასწავლებელი და მისი აღზრდა ახალი მიმართულების ადამიანს, ჰუმანისტ პონოკრატს დაავალა. სწორედ აქ ჩანს მისი გამჭრიახობა. გრანგუზიე არ არის იდეალური მეფე, მაგრამ საკუთარი ქვეშევრდომები ძალიან უყვარს.

მისი შვილი, გარგანტუა, უკვე ბევრად განათლებული და უკეთ აღზრდილია. მას მეფე-ფილოსოფოსად გახდომაში ხელი შეუშალა ზოგიერთმა გარემოებამ, თუმცა ახლა მას სურს, ასეთად შვილი აქციოს. დანარჩენში იგი მამას ჰგავს. არ არის ბოროტი, უყვარს ხალხი, გონიერი და კეთილია.

აი, ეს არის განათლებული მონარქიის თეორია. ამას ემხრობოდა რაბლე. ასეთი იყო პანტაგრუელი, ავტორის უსაყვარლესი გმირი. სწორედ, „პანტაგრუელიზმია“ ამ გენიალური ნაწარმოების ცენტრალური დებულება.

მესამე წიგნში უკვე ვხვდებით ტერმინ „ტირანს“. ეს საკითხიც აღელვებდა რაბლეს. იგი წერს, რომ ტირანები თავისი ქვეშევრდომების სისხლს სვამენ. იგი იქვე უთითებს, რომ მხოლოდ მაშინ გაიგებ ადამიანის ჭეშმარიტ ფასს, როცა იგი საქვეყნო საქმეებს შეეჭიდება. თანამდებობის ჟამს ჩამოეხსნება მას ყველანაირი ნიღაბი და წარმოგვიდგება ისეთი, როგორიც რეალურად არის.

მონარქის უმთავრესი მოვალეობაა კანონის დაცვა, **„მართალი სამართლის“** უზრუნველყოფის და სასამართლო პროცესების შეუფერხებლად და გაუჭიანურებლად დამთავრება. აქვე აღვნიშნავთ, რომ რაბლე სამაგალითო პროცესსაც გვიჩვენებს პანტაგრუელის X-XIII თავებში. რაბლე ამ პროცედურას აქებს, ვინაიდან ეყრდნობა მისი აზრით პროცესუალური სამართლის სამ პრინციპს – ლოიალობას, დიალოგს და სისწრაფეს.

რაბლე დიდ ადგილს უთმობს მოსამართლეებს, ადვოკატებს, პროკურორებს და სხვ. მე-16 საუკუნის საფრანგეთში ქვეყანაში არსებული მანკიერებები კარგად ჩანდა სასამართლოების საქმიანობაში. პარიზის პარლამენტი ქვეყნის მთავარ სასამართლო ორგანოდ ითვლებოდა, თუმცა ფაქტობრივად მას მხოლოდ სამეფო დომენში განლაგებული მიწა-წყალი ექვემდებარებოდა. ისეთ ქალაქებს კი, რო-



ᲛᲐᲠᲗᲚ-ᲛᲡᲐᲯᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲐ ᲛᲔᲢᲠ ᲤᲠᲐᲜᲡᲣᲐ ᲠᲐᲑᲚᲔᲡᲘ

გორიცაა ტულუზა, ბორდო, გრენობლი, დიჟონი, რუანი, საკუთარი სასამართლო ორგანოები ჰქონდათ. გარდა ამისა, არსებობდა სენიორების სასამართლოებიც. სახელმწიფო სასამართლო მოხელეებთან (ბალიები, სენეშალები) იყვნენ სენიორთა სასამართლო მოხელეებიც (პრევოები, შატელენები), რომლებიც ერთმანეთს პირველობას ედავებოდნენ.

ყველაზე მძიმე ქვეყნისთვის სამართალწარმოების ლათინური ენა იყო. 1539 წელს ფრანცისკ I-მა გამოსცა ედიქტი საფრანგეთის მთელ მიწა-წყალზე სამართალწარმოების ფრანგულ ენაზე წარმართვის შესახებ, თუმცა ეს ცხოვრებაში ადვილად დასანერგი არ იყო. იმ დროს ლათინური ენა სასამართლოს მოხელეებისთვის არა მარტო ავტორიტეტის, არამედ მატერიალური კეთილდღეობის წყაროც იყო – მათთვის იგი უზრუნველყოფდა ხალხისთვის გაუგებარ ენაზე დაწერილი კანონების ინტერპრეტირების მონოპოლიას, რაც ფართო ასპარეზს უხსნიდა ყველანაირ უკანონო ქმედებებს.

სასამართლოს მოხელეები ხალხის მუდმივი დაცინვის ობიექტები იყვნენ. რაბლემაც შექმნა მოსამართლე **ბრიდუას** სახე. იგი ორმოცი წლის განმავლობაში მსახურობდა. გამოტანილი **ჰქონდა 4000-მდე გადაწყვეტილება. 2309 გასაჩივრებული საქმიდან** ყველა გადაწყვეტილება უმაღლეს ინსტანციაში სწორად იქნა მიჩნეული. 2310-ე საქმემ კი ის შეიძლება დისციპლინური დევნის ქვეშ დააყენოს, რაც მისთვის კატასტროფის ტოლფასი იქნება. ბრიდუას დაცვას პანტაგრუელი გადაწყვეტს. იგი ბრიდუას დისციპლინარული საქმის განხილვას ესწრება. ბრიდუა კი ყვება კამათლების ამბავს, იშველიებს ლათინურ ტერმინებს და ბოლოს ამბობს, რომ მოხუცებულობის გამო კარგად ვეღარ ხედავს და ამიტომაც ვერ გაარჩია კამათელზე არსებული ოთხიანი ხუთიანისგან. საგულისყურო აქ ისაა, რომ პანტაგრუელი სიტყვით გამოდის და აღნიშნავს, რომ ეს უკანონო განაჩენი ერთადერთია მრავალ გასაჩივრებულ გადაწყვეტილებათა შორის. იქვე დასძენს, რომ ბრიდუას ბოდიშის მოხდასთან ერთად უნდა დაენიშნოს ახალგაზრდა თანაშემწე. ამასთანავე, უნდა დაკმაყოფილდეს დაზარალებული მხარე.

თვითონ ბრიდუა კი ძალიან მარტივად მოქმედებდა – დიდხანს და გულმოდგინედ აგროვებდა სასამართლო საქმესთან დაკავშირებულ საბუთებს (შუამდგომლობები, საჩივრები, განკარგულებები, მოწმეთა ჩვენებები, მხარეთა პირველადი და მეორადი განმარტებები და ა.შ.). ამის შემდეგ კამათლებს აყრიდა და ქულების რაოდენობის მიხედვით გამოჰქონდა გადაწყვეტილება. იგი თვლიდა, რომ ეს ჭეშმარიტად იურიდიული, ტრიბუნისა და პრეტორის შესაფერისი საქმის გადაწყვეტის ხერხია. როცა მას ეკითხებიან, რაღა საჭირო იყო ამდენი მასალის მოგროვება, იგი უპასუხებს, რომ ფორმალობების დაუცველად განაჩენი არ იქნება კანონიერი. იქვე დასძენს, რომ სასამართლო პროცესში ფორმალობები ხშირად საქმის არსსა და შინაარსს ამახინჯებს.

რაბლე ბრიდუას მაინც თანაგრძნობით უყურებს და ამ უგუნურ კაცს ბოლომდე გარყვნილად არ მოიხსენიებს, ვინაიდან მისი აზრით იმდენი პატიოსნება მაინც ჰქონდა, რომ მისი უცოდინრობის გამო საკუთარი თავის ნაცვლად ღმერთის ნებას მიჰყვებოდა, რაც კამათლების გამოყენებაში გამოიხატა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ორი საუკუნის შემდეგ, რაბლესეული უგუნური, მოსამართლის მანტიაში გამოწყობილი გაიძვერა წარმოგვიდგინა **ბომარშემ** თავის კომედიაში **„ფიგაროს ქორწინება“**, რომელსაც ბრიდუას გავლენით ბრიდუაზონი ჰქვია.

პროფ. გიორგი გოგიაშვილი ბევრ სხვა საკითხსაც ეხება. ყველაზე საგულისურო ისაა, რომ იგი ისეთნაირად ალაგებს განსახილველ საკითხებს, რომ ყოველი ახალი საკითხის წაკითხვისას ფიქრობ, რაბლეს პენტალოგია დღევანდელი ნაწარმოებიაო, და რომ ფრანსუა რაბლე დღევანდელ საზოგადოების ნაწილია. უაღრესად ყურადსაღებია ის გეგმაც, რომლის მიხედვითაც ეს სანაქებო მეცნიერული შრომაა დაწერილი. კარგადაა გაკეთებული შედარებები, მოყვანილია საკმაო მასალა საკითხში უფრო ღრმად ჩაწვდომის მიზნით. ყურადღებას იქცევს ქართული პარალელების დართვაც.

რა თქმა უნდა, ნაშრომში წარმოდგენილი ყველა საკითხის განხილვა ძალიან რთულია და მეც ვეცადე, მათ შორის მკითხველისთვის განსაკუთრებით საგულისყურო საკითხებზე გამემახვილებინა ყურადღება.

ნაშრომი ერთი ამოსუნთქვით იკითხება და წაკითხვის შემდეგ რჩება მისი კიდევ გადაკითხვის მოთხოვნილება.

კარგი იქნება, თუ პროფ. გიორგი გოგიაშვილის მშვენიერი ნამოღვაწარი რაღაც ფორმით საუნივერსიტეტო სასწავლო პროგრამებშიც აისახება, ვინაიდან, ვფიქრობ, მომავალი თაობისთვის იგი მეტად სასარგებლო იქნება.

ᲡᲣᲚᲮᲐᲜ ᲒᲝᲒᲘᲜᲐᲕᲐ,
სამართლის დოქტორი, პროფესორი



„ᲡᲝᲮᲣᲛᲘᲡ ᲡᲬᲠᲐᲤᲕᲐ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲗᲐᲜ ᲡᲐᲕᲐᲭᲠᲝ-ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲣᲠᲘ ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲝᲑᲘᲡᲙᲔᲜ ᲙᲕᲚᲐᲕ ᲫᲐᲚᲐᲨᲘᲐ, ᲕᲔᲚᲘᲗ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲛᲮᲐᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲮᲛᲐᲣᲠᲔᲑᲐᲡ“

ᲒᲐᲡᲣᲚᲘ ᲬᲚᲘᲡ დეკემბერში აფხაზეთის დე ფაქტო ლიდერმა ასლან ბჟანიამ „რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკის კონცეფცია“ დაამტკიცა, რომლის საკვანძო პუნქტი ქართულ მხარესთან მოლაპარაკებების დამატებითი მრავალდონიანი ფორმატის ჩამოსაყალიბებლად პირობების შექმნას ითვალისწინებდა. პირველად ომისშემდგომ ისტორიაში, აფხაზმა ლიდერმა ამ მიმართულებით განზრახვა არა მარტო გააჟღერა, არამედ საგარეო პოლიტიკური კურსის ნაწილადაც აქცია. თუმცა მიმდინარე წლის 25 მაისს — „კონცეფციის“ დამტკიცებიდან თითქმის ნახევარ წელიწადში, ბჟანიამ მისივე ბრძანებულებით დოკუმენტში ცვლილება შეიტანა და მრავალდონიანი მოლაპარაკებების შესახებ პუნქტი გააუქმა.

ვინაიდან „პრეზიდენტს“ ამასთან დაკავშირებით საჯაროდ ჯერ არაფერი განუმარტავს, მთავარი კითხვა, რომელიც უკვე მესამე დღეა, აფხაზურ დღის წესრიგში დგას, ბჟანიას ამ მოულოდნელი გადაწყვეტილების მიზეზია. პასუხი ჯერ არ გვაქვს. თუმცა იმის გავითვალისწინებით, რაოდენ დიდ ზეწოლას უძლებდა აფხაზეთი და პირადად ასლან ბჟანია ახალი „საგარეო პოლიტიკური კონცეფციის“ მიღებიდან გასული თვეების განმავლობაში რუსეთის მხრიდან, რომელიც თბილისთან მიმართებაში აფხაზების დამოუკიდებელ მოქმედებას კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა, აფხაზ ინტერნეტ-კომენტატორთა უმრავლესობა იხრება იმ ვერსიისკენ, რომ ქართულ მხარესთან მოლაპარაკებების შესახებ პუნქტის გაუქმების გადაწყვეტილების მიღება სოხუმს სწორედ ჩრდილოელმა „სტრატეგიულმა პარტნიორმა“ აიძულა და არა კორუმპირებულმა ექს-ჩინოსნებმა ოპოზიციური ორგანიზაცია „არუაადან“, რომლებიც მთელი ამ თვეების განმავლობაში ბჟანიას გუნდს ქართველებთან დიალოგისა და თანამშრომლობის ინიციატივის გამო „ეროვნული ინტერესების ღალატში“ ადანაშაულებდნენ.

ახლა ოპოზიციის ეს რევანშისტულად განწყობილი, თუმცა სუსტი ფრთა ფაქტობრივად ერთადერთია, ვინც ბჟანიას ბოლო გადაწყვეტილება მოუწონა — **„ჩვენი მოწოდება შესმენილია! პრეზიდენტ ასლან ბჟანიას ეს ნაბიჯი სამომავლოდ ხელისუფლებასთან კონსტრუქციული დიალოგის იმედს გვისახავსო“**. მეტიც, კორუმპირებული პრორუსი ექს-ჩინოსნები ბჟანიას ნაბიჯით იმდენად შეგულიანდნენ, რომ გუშინდელი დღიდან თავის პოპულისტურ მოთხოვნებში კიდევ უფრო შორს მიდიან: **„პრეზიდენტ ბჟანიას ამ გადაწყვეტილების შემდეგ არასამთავრობო სექტორის, ბიზნესის, პოლიტიკური თუ საზოგადოებრივი გაერთიანებების არც ერთ წარმომადგენელს აღარ აქვს უფლება, საქართველოს წარმომადგენლებთან რაიმე საკითხზე რაიმე დიალოგი აწარმოოს პრეზიდენტთან ან მთავრობასთან შეუთანხმებლად. მეტიც, ჩინოსნებმა ქართულ მედიას ინტერვიუებიც კი საგარეო უწყებასთან ან პრეზიდენტის ადმინისტრაციასთან შეთანხმებით უნდა მისცენ“,** — ნათქვამია „არუაას“ 27 მაისის განცხადებაში. ამასთან, რევანშისტები იმედს გამოთქვამენ, რომ უახლოეს ხანებში აფხაზური „პარლამენტი“ მიიღებს რუსეთის სახელმწიფო სათათბიროსადმი მიმართვას **„1918 წლიდან 100-ზე მეტი წლის განმავლობაში საქართველოს მხრიდან აფხაზი ხალხის სისტემური გენოციდის აღიარების“ თაობაზე, ასევე კანონს „ომში საქართველოს დამარცხების შესახებ“**.

აი, მოსახლეობა კი „პრეზიდენტის“ 25 მაისის ნაბიჯმა სახტად დატოვა და დეკემბრის გადაწყვეტილების შემდეგ ჩასახული იმედი აშკარად გაუცრუა. ბევრი საუბრობს იმაზე, რომ ამ ნაბიჯით წააგო საკუთრივ ბჟანიამაც, რომელიც მერყევ პოლიტიკოსად წარმოჩინდა და აფხაზეთმაც, რომელიც „საქართველოსთან დიალოგის შესაძლებლობის გარეშე, კვლავ მხოლოდ რუსეთის ამარა, ანუ სრულ უპერსპექტივობაში დაბრუნდა“. თუმცა როგორც „აქცენტს“ ბჟანიას გარემოცვიდან სანდო წყარომ განუცხადა, საქმე მთლად ასეც არ არის. კერძოდ, მართალია, ქართულ მხარესთან მრავალდონიანი მოლაპარაკებების შესახებ პუნქტი „კონცეფციიდან“ ამოღებულია, მაგრამ „კვლავინდებურად ნარჩუნდება ბჟანიას ხელისუფლების სწრაფვა, საქართველოსთან სავაჭრო-ეკონომიკური კავშირები ჩამოაყალიბოს“.

„პრეზიდენტის 25 მაისის გადაწყვეტილებას ამ სწრაფვაზე გავლენა არ მოუხდენია. ამ მიმართულებით დიალოგის წარმოებას კვლავ შევეცდებით და საქართველოს მხრიდან გამოხმაურების იმედი გვაქვს“, — განაცხადა ჩვენმა წყარომ დე ფაქტო პრეზიდენტის ადმინისტრაციაში.

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐᲛ ᲜᲐᲛᲘᲑᲘᲔᲚᲔᲑᲡ ᲑᲝᲓᲘᲨᲘ ᲛᲝᲣᲮᲐᲓᲐ

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐᲛ ოფიციალურად აღიარა მეოცე საუკუნის დასაწყისში გერმანული კოლონიური ჯარის მიერ ნამიბიის ახლანდელ ტერიტორიაზე ჩადენილი მკვლელობები გენოციდად და ჰერეროსა და ნამას ტომების შთამომავლებს ბოდიში მოუხადა.

გერმანიის საგარეო საქმეთა მინიტრის ჰაიკო მაასის თქმით, 28 მაისს ხუთ წელზე მეტი ხნის მოლაპარაკებების შედეგად გერმანიამ და ნამიბიამ შეთანხმებას მიაღწიეს ყველაზე ბნელი ისტორიის შეფასებისას. მისივე თქმით, გერმანია ნამიბიას დახმარებას გამოუყოფს.

„აუცილებელია შელამაზების გარეშე თავის სახელი დაერქვას გერმანიის კოლონიური მმართველობის პერიოდის მოვლენებს დღევანდელი ნამიბიის ტერიტორიაზე, განსაკუთრებით კი იმ სიმხეცეს, რომელიც გერმანელმა სამხედროებმა 1904-1908 წლებში ჩაიდინეს. ჩვენ დღეს ოფიციალურად ვაღიარებთ, რომ ეს მოვლენები დღევანდელი თვალსაზრისით იყო გენოციდი“, — თქვა მაასმა.

მიღწეული შეთანხმების მიხედვით, გერმანია ნამიბიას განვითარებისა და აღდგენისთვის 1,1 მლრდ ევროს გამოუყოფს. ნამიბიის გადაწყვეტილებით, დახმარების ძირითადი ნაწილი გამოიყოფა სოფლის მეურნეობის განვითარების, წყალმომარაგებისა და პროფესიული განათლებისთვის. ნამიბია, რომელსაც ადრე ეწოდებოდა გერმანიის სამხრეთ-დასავლეთ აფრიკა, 1884-1915 წლებში გერმანიის კოლონია იყო. 1904-1908 წლების პერიოდში გერმანიის არმიამ გაანადგურა ჰერეროსა და ნამას ათი ათასობით წარმომადგენელი. ისტორიკოსებმა ამ მოვლენებს მეოცე საუკუნის პირველი გენოციდი უწოდეს.

ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲛᲘᲚᲘᲐᲠᲓᲘᲐᲜᲘ „ᲡᲐᲩᲣᲥᲐᲠᲘ“ �პᲣᲢᲘᲜᲡ...

ᲐᲨᲨ-ᲘᲡ �პᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠ ᲘᲡᲢᲔᲑᲚᲘᲨᲛᲔᲜᲢᲨᲘ არსებული ნეგატიური დამოკიდებულების მიუხედავად, აშშ-ის პრეზიდენტმა ჯო ბაიდენმა უარი თქვა, „ჩრდილოეთის ნაკადი 2“-ის (რომელსაც რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმირ პუტინი და რუსული სახელმწიფო კომპანია „გაზპრომი“ აქტიურად უწევენ რეკლამას) წინააღმდეგ ახალი სანქციების შემოღებაზე და პროცესის რიგ დამკვირვებლებში გაჩნდა განცდა, რომ ამით ბაიდენმა დისონანსი შეიტანა კრემლთან მიმართებით საკუთარ პოზიციონირებაში. თავად ბაიდენმა კი გადაწყვეტილება ორი არგუმენტით ახსნა:

- ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘ ᲓᲐᲡᲙᲕᲜᲘᲗ ᲤᲐᲖᲐᲨᲘᲐ ᲓᲐ ᲠᲝᲛ ᲐᲛ ᲔᲢᲐ�პᲖᲔ ᲡᲐᲜᲥᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲝᲦᲔᲑᲐ ᲙᲝᲜᲢᲠᲐᲠᲝᲓᲣᲥᲢᲣᲚᲘ ᲘᲧᲝ;
- ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲐᲜᲥᲪᲘᲔᲑᲘ ᲐᲨᲨ-Ს ᲔᲕᲠᲝᲞᲔᲚ ᲞᲐᲠᲢᲜᲘᲝᲠᲔᲑᲗᲐᲜ ᲓᲐᲣᲫᲐᲑᲐᲕᲡ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲔᲑᲡ.

„იმთავითვე ამ პროექტის წინააღმდეგ ვილაშქრებდი, თუმცა გერმანიას ვერ განვუსაზღვრავ, რა აკეთოს და რა არა. ვაშინგტონი ევროპელ მოკავშირეებთან პროექტის მომავალზე მსჯელობას გააგრძელებს“, — თქვა ბაიდენმა, თუმცა მის თანაპარტიელი სენატის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე ბობ მენენდესი უკმაყოფილო ჩანს: „ერ ვხედავ მტიცებულებას, როგორ შეუწყობს ხელს დღევანდელი გადაწყვეტილება აშშ-ის ძალისხმევას, შეაჩეროს ევროპაში რუსეთის აგრესია“ იკითხა ბაიდენის თანაპარტიელმა, სენატის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარემ ბობ მენენდესმა.

„რესპუბლიკელმა“ სენატორმა ტედ კრუზმა კი გადაწყვეტილებას **„პუტინისთვის მრავალმილიარდიანი საჩუქარი“** უწოდა: **„აინტერესებს, მოვა თუ არა ბაიდენის ამ მრავალმილიარდიანი საჩუქრის შემდეგ პუტინი 16 ივნისს მასთან მოლაპარაკებებზე საზეიმო ტორტით?!“**

ᲠᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘ „ᲠᲓᲘᲚᲝᲔᲗᲘᲡ ᲜᲐᲙᲐᲓᲘ-2“

ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘ „რდილოეთ ნაკადი-2“ რომელიც რუსული გაზის გერმანიისკენ ბალტიის ზღვის ფსკერით ტრანსპორტირებას ითვალისწინებს, თითქმის დასრულებული იყო, როდესაც ამერიკული სანქციების გამო „გაიყინა“. 2019 წლის დეკემბრიდან სამუშაოები შეწყდა. თუმცა 2020-ის მაისის დასაწყისში გაჩნდა ცნობა: რუსეთი გეგმავს, მშენებლობა უცხოელი კონტრაქტორების გარეშე, ხომალდ „Академик Черский“-ს მეშვეობით დაასრულოს, რომელიც გერმანულ პორტ მუკრანის აკვატორიაში ჩამოდგა. ამ ცნობის საპასუხოდ აშშ რუსული „გაზპრომისა“ და რამდენიმე ევროპული ენერგოკომპანიის ერთობლივ პროექტს ახალი სანქციებით დაემუქრა. თავის ბოლო სამუშაო დღეს, 19 იანვარს აშშ-ის ყოფილმა პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა სანქციები დაუწესა რუსულ კომპანია KVT-RUS-ს, რომელიც ზღვის ფსკერზე მილების გამყვანი გემის მფლობელია. ამერიკაში არჩევნებისა და ახალი ადმინისტრაციის მოსვლის შემდეგ, კერძოდ, 5 თებერვლიდან „ჩრდილოეთ ნაკადი 2“-ის მშენებლობის პროცესი კვლავ განახლდა. მშენებლობის შესაჩერებლად ამერიკის კონგრესის ორპარტიული თანხმობით, კონგრესმენები და სენატორები ჯო ბაიდენისგან მოითხოვდნენ, რომ მას ამ პროექტის წინააღდმდეგ დამატებითი სანქციები დაეწესებინა. 20 მაისს ცნობილი გახდა, რომ აშშ-მა „ჩრდილოეთ ნაკადი 2“-ის მშენებელ კომპანიას „ჩრდილოეთ ნაკადი 2 AG“ სანქციები მოუხსნა. ამასთან, კომპანიის აღმასრულებელი დირექტორის მათიას ვარნინგისთვის დაწესებული სანქციებიც გააუქმა და ბაიდენმა ახალ სანქციებზე უარი განაცხადა.

„ჩრდილოეთ ნაკადი 2“ მოწოდებულია, უზრუნველყოს რუსული ენერგორესურსების მიწოდება კიევისგან დამოუკიდებლად, რომელთანაც მოსკოვს უკვე მრავალწლიანი კონფლიქტი აქვს, მათ შორის — გაზის ტრანზიტის საკითხთან დაკავშირებით.

„ჩდილოეთის ნაკადი 2“ მსოფლიოში ყველაზე გრძელი წყალქვეშა გაზსადენია, რომელიც 1,200 კილომეტრის სიგრძისაა და წელიწადში 55 მილიარდი კუბური მეტრის გაზის გადაქაჩვა შეუძლია რუსეთიდან გერმანიაში.

ᲑᲔᲚᲐᲠᲣᲡᲘ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡᲒᲐᲜ ᲙᲠᲔᲓᲘᲢᲡ ᲘᲦᲔᲑᲡ

ᲑᲔᲚᲐᲠᲣᲡᲘ რუსეთისგან 500 მილიონი დოლარის ოდენობის კრედიტს მიიღებს. ეს ბელარუსისთვის გათვალისწინებული 1,5 მილიარდი დოლარის ოდენობის კრედიტის მეორე ტრანშია. ამის შესახებ კრემლის პრესმდივანმა დიმიტრი პეკსოვმა განაცხადა. პესკოვის თქმით, რუსეთისა და ბელარუსის პრეზიდენტების საუბრის ერთ-ერთი თემა სწორედ კრედიტის გამოყოფა იყო.

ამას გარდა, როგორც პესკოვმა აღნიშნა, სოჭში შეხვედრაზე ვლადიმირ პუტინმა და ალექსანდრ ლუკაშენკომ ბელარუსში დაკავებული რუსეთის მოქალაქის, სოფია საპეგას საკითხი განიხილეს. საპეგა 23 მაისს ჟურნალისტ რომან პროტასევიჩთან ერთად დააკავეს. პესკოვის თქმით, საპეგას ბელარუსის ბინადრობის უფლება გააჩნია.

„პრეზიდენტმა ხაზი გაუსვა, რომ ყველაფერი უნდა მოხდეს კანონის ფარგლებში“, — განაცხადა დიმიტრი პეკსოვმა და აღნიშნა, რომ ამ საქმეს რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო გაუწევს მონიტორინგს. ვლადიმირ პუტინმა და ალექსანდრ ლუკაშენკომ სოჭში მოლაპარაკებები არაფორმალურ გარემოში, იახტაზე გააგრძელეს. „რაინეარის“ რეისთან დაკავშირებული ინციდენტის გარდა, კრემლის ცნობით, პრეზიდენტებმა საჰაერო მიმოსვლის ორგანიზების საკითხები განიხილეს.



ᲘᲢᲐᲚᲘᲔᲚᲘ ᲛᲮᲐᲢᲕᲐᲠᲘᲡ ᲣᲮᲘᲚᲐᲕᲘ ᲥᲐᲜᲓᲐᲙᲔᲑᲐ

ᲘᲢᲐᲚᲘᲔᲚᲛᲐ ᲛᲮᲐᲢᲕᲐᲠᲛᲐ, ᲡᲐᲚᲕᲐᲢᲝᲠᲔ ᲒᲐᲠᲐᲣᲛ ᲣᲮᲘᲚᲐᲕᲘ ᲥᲐᲜᲓᲐᲙᲔᲑᲐ, ᲡᲐᲮᲔᲚᲬᲝᲓᲔᲑᲘᲗ „ᲛᲔ ᲕᲐᲠ“ (I am) 15 ᲐᲗᲐᲡ ᲔᲕᲠᲝᲓ ᲒᲐᲧᲘᲓᲐ. ᲒᲐᲠᲐᲣᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲗ, ᲥᲐᲜᲓᲐᲙᲔᲑᲐ ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲐᲓ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲡ ᲓᲐ ᲘᲡ ᲔᲜᲔᲠᲒᲘᲘᲡᲐ, ᲫᲐᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲖᲠᲔᲑᲘᲡᲒᲐᲜ ᲐᲠᲘᲡ ᲨᲔᲥᲛᲜᲘᲚᲘ.

მისივე თქმით, ქანდაკების დასადგმელად სახლში 1,5 მეტრის ფართობის გამოყოფაა საჭირო. ქანდაკების ყიდვის დამადასტურებელი საბუთის სახით მყიდველს გადაეცა სერტიფიკატი, რომელიც მისი საკუთრების უფლებას ადასტურებს.

„ქანდაკება აბსოლუტურად უხილავია, ამიტომ მისი გამეორება უბრალოდ შეუძლებელია“, — აღნიშნულია სააუქციონო ლოტის აღწერაში.

ᲡᲐᲞᲘᲠᲤᲐᲠᲔᲨᲝ ᲖᲦᲕᲘᲡ ᲮᲔᲓᲘᲗ

ᲖᲦᲕᲘᲡ ᲮᲔᲓᲘᲡ მქონე ყოფილი საზოგადოებრივი საპირფარეშოს შენობა, რომელიც დიდ ბრიტანეთში, კორნუოლის საგრაფოში, სოფელ ტრევოვანის მახლობლად მდებარეობს, აუქციონზე გაიყიდება. ლოტის საწყისი ფასი 25 000 გირვანქა სტერლინგია.

„ყოფილი საპირფარეშოდან ზღვაზე შესანიშნავი ხედი იშლება“, — აცხადებს აუქციონის ერთ-ერთი ორგანიზატორი ქეიტ სემენსი. აუქციონი ონლაინფორმატში 14-16 ივნისს გაიმართება. ობიექტის ახალი მფლობელი საპირფარეშოს გარდა 0,08 ჰექტარ მიწას მიიღებს.

ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲥᲕᲘᲠᲐᲓ-ᲦᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲝᲢᲝᲪᲘᲙᲚᲘ

Harley-Davidson-ის მოტოციკლს, რომელიც ჰოლივუდში გადაღებულ საკულტო ფილმში გამოიყენეს, 5 ივნისს აუქციონზე გაიტანენ.

ეს საკმაოდ მნიშვნელოვანი მოვლენაა, რადგან ფილმი Easy Rider-ი ეკრანებზე 1952 წელს გამოვიდა და პიტერ ფონდის როლის შემსრულებელი ამ მოტოციკლით გადაადგილდებოდა. მოტოციკლის საწყისი ფასი 4300 000-ია. ამ მოტოციკლის ანალოგი 7 წლის წინ აუქციონზე 41,62 მილიონად გაიყიდა.

ᲥᲣᲩᲔᲑᲨᲘ ᲛᲔᲔᲖᲝᲕᲔ ᲠᲝᲑᲝᲢᲘ

ᲤᲘᲜᲔᲗᲨᲘ, ᲰᲔᲚᲡᲘᲜᲙᲘᲡ ᲥᲣᲩᲔᲑᲨᲘ ᲙᲝᲛᲞᲐᲜᲘᲐ Trombia Technologies-ის შექმნილი მეეზოვე რობოტი გამოჩნდა. რობოტს ქუჩების დალაგება დღის ნებისმიერ მონაკვეთსა და ამინდში შეუძლია. რობოტი საათში 2-6 კილომეტრს ფარავს, ხოლო არასამუშაო დროს ერთ საათში 10 კილომეტრის დაფარვა შეუძლია.

მეეზოვე რობოტს 4-8 საათი შეუძლია მუშაობა. მეეზოვე რობოტი მსურველებისთვის უკვე 2022 წლის პირველ კვარტალში გახდება ხელმისაწვდომი.

„ᲝᲙᲔᲐᲜᲣᲠᲘ ᲛᲓᲘᲜᲐᲠᲘᲡ“ ᲡᲘᲪᲘᲪᲘᲡᲒᲐᲜ ᲡᲘᲙᲕᲓᲘᲚᲘ: ᲒᲐᲛᲧᲘᲜᲕᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲐᲞᲝᲙᲐᲚᲘᲤᲡᲘᲡ ᲚᲐᲜᲓᲘ

ᲬᲚᲔᲕᲐᲜᲓᲔᲚᲛᲐ თოვლიანმა 8 მარტმა თვალნათლივ დაგვანახა, რომ წინა დღის ნამდვილი გაზაფხულის სითბო რამდენიმე საათში თავისუფლად შეიძლება შეიცვალოს მეტად არაკომფორტული აციებით, კლიმატოლოგები კი ამტკიცებენ, რომ ასეთი რამ, თუმცა კი გაცილებით დიდი მასშტაბით, ახლო მომავალში ევროპასა და ჩრდილოეთ ამერიკას ემუქრება.

საშინელი ყინვების, ფაქტობრივად, ახალი გამყინვარების პერიოდის დადგომის პროგნოზი ახლახან მეცნიერთა ორმა სხვადასხვა დამოუკიდებელმა ჯგუფმა თითქმის ერთდროულად გააკეთა. ერთ-ერთი მათგანის ხელმძღვანელია გერმანიის პოსტდამის უნივერსიტეტის პროფესორი, დოქტორი **შტეფან რამშტორფი,** მეორე — დანიის კოპენჰაგენის უნივერსიტეტელი მკვლევარი **იოჰან ლოჰმანი**.

მეცნიერთა ორივე ჯგუფის გამოკვლევების შედეგი ერთნაირია: წლიდან წლამდე კატასტროფულად მცირდება ეგრეთ წოდებული ატლანტიკის მერიდიანული ცირკულაცია — ესაა ოკეანურ დინებათა სისტემა, რომელთა შორის უდიდესია **გოლფსტრიმი**. ამ უმძლავრეს „ოკეანური მდინარის“ ნაკადს წამში 20 მილიონი კუბური მეტრი წყალი მიაქვს, რომელიც მანამდე ამერიკის კონტინენტის ნაპირებთან, მექსიკის ყურეში ხურდება, მერე კი მის ჩრდილოეთ ნაწილსა და ევროპას „ათბობს“.

ბოლო წლების მანძილზე კი ატლანტიკის ეს „ღუმელი“ თანდათანობით ცივდება, რის შესახებ ჩვენი გაზეთი ადრეც წერდა. ჯერ კიდევ სამი წლის წინათ, ბრიტანელი მეცნიერები აცხადებდნენ, რომ მე-20 საუკუნის შუა ხანებთან შედარებით, გოლფსტრიმის დინების სიჩქარე 15 პროცენტით დაეცა და კვლავაც განაგრძობს შემცირებას. ამის შედეგი კი ისაა, რომ მის მოსაზღვრე ხმელეთს ყოველწლიურად მილიარდობით კუბური მეტრი „გათბობის“ წყალი აკლდება.

მათემატიკური მოდელირების მეთოდით გერმანელმა მკვლევარებმა დაადგინეს, რომ 21-ე საუკუნის მიწურულისთვის, გოლფსტრიმის დინების სიჩქარე დღეს არსებულის 45 პროცენტიღა იქნება. დანიელები კი სულაც აცხადებენ, რომ ის გაჩერდება, რაც დედამიწას პლანეტური მასშტაბის კატასტროფით ემუქრება!

იგივე მოსაზრება 2005 წელს გამოთქვა ბრიტანეთის ოკეანოგრაფიულმა ცენტრმა, ორი წლის შემდეგ მათ მხარი დაუჭირეს კლიმატის ცვლილებების შემსწავლელი გაეროს სამთავრობათაშორისო ჯგუფის ექსპერტებმა: მკვლევართა აზრით, უახლოეს ასწლეულში კაცობრიობის გაყინვის საფრთხე სავსებით რეალურია.

თუმცა, 2010 წელს მსოფლიო საზოგადოებრიობა და კოლეგები რამდენადმე დაამშვიდეს ამერიკის კოსმოსური კვლევების სააგენტოს (ნასა) სპეციალისტებმა: მათი განცხადებით, 2002-2009 წლების პერიოდში ხელოვნური თანამგზავრებიდან მიღებული ინფორმაციის ანალიზმა ცხადჰყო, რომ, მართალია, გოლფსტრიმის დინების სიჩქარემ კი იკლო, მაგრამ არაკატასტროფულად. კვლევების ხელმძღვანელის **ჯოშ უილისის** თქმით, გოლფსტრიმის დინების სიჩქარის მნიშვნელოვანი შენელების შემთხვევაშიც კი, კლიმატის კატასტროფული ცვლილებები მოსალოდნელი არ არის.

ნასა-ს სპეციალისტები კი გამყინვარებას საერთოდაც არ ელიან, ვინაიდან, მათი აზრით, გლობალური დათბობა, საბოლოო ანგარიშით, უფრო ძლიერი აღმოჩნდება, რის შედეგად, გოლფსტრიმის „ფოკუსების“ მიუხედავად, დედამიწაზე საშუალო ტემპერატურა მაინც მოიმატებს. **მიუხედავად ამისა, ევროპელი მკვლევარები მაინც გამოთქვამენ შეშფოთებას, ვინაიდან მიაჩნიათ, რომ მათი ეჭვები საფუძველს მოკლებული ნამდვილად არ არის და კლიმატური ქაოსი უკვე დაწყებულია!..**

მოამზადა
ᲝᲗᲐᲠ ᲢᲣᲠᲐᲑᲔᲚᲘᲫᲔ

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ ᲡᲚᲘᲞ — ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲕᲐᲜᲝ ᲡᲐᲠᲐᲯᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲙᲝᲜᲡᲔᲠᲕᲐᲢᲝᲠᲘᲘᲡ ᲐᲓᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲐᲪᲘᲘᲡ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲛᲓᲔᲑᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲙᲐᲕᲔᲑᲚᲐᲓ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲘᲡ ᲨᲔᲠᲩᲔᲕᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲡ, ᲞᲠᲔᲢᲔᲜᲓᲔᲜᲢᲗᲐ ᲠᲔ�გᲘᲡᲢᲠᲐᲪᲘᲘᲡ ᲓᲐᲬᲧᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲗᲘ ᲨᲔᲠᲩᲔᲕᲘᲡ ᲙᲠᲘᲢᲔᲠᲘᲣᲛᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

1. 2021 წლის 28 მაისს გამოცხადდეს კონკურსი სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატის შერჩევის მიზნით და დაიწყოს პრეტენდენტთა რეგისტრაცია.

2. პრეტენდენტთა რეგისტრაცია დაიწყოს სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში 2021 წლის 14 ივნისის 10:00 საათიდან, მისამართზე ქ. თბილისი, ალ.გრიბოედოვის ქ. №8-10, ოთახი №212; სარეგისტრაციო განაცხადის გამოგზავნა ასევე შესაძლებელია ელექტრონულ მისამართზე: hr@tsc.edu.ge

3. ადმინისტრაციის ხელმძღვანელის კანდიდატობის პრეტენდენტთა რეგისტრაციის ბოლო ვადად განისაზღვროს 2021 წლის 18 ივნისის 18:00 საათი.

4. აკადემიური საბჭოს მიერ კონკურსანტების დოკუმენტური მონაცემების გაცნობა და პრეტენდენტებთან გასაუბრება განხორციელდეს 2021 წლის 21 ივნისიდან არაუგვიანეს 2021 წლის 28 ივნისისა. პრეტენდენთან გასაუბრება, ქვეყანაში საგანგებო, საომარი ან ისეთი მდგომარეობის არსებობისას, რომელიც ზღუდავს ფიზიკურ პირთა გადაადგილებასა და შეკრებას, აკადემიური საბჭოს შესაბამისი გადაწყვეტილებით შესაძლებელია ჩატარდეს დისტანციურად, თანამედროვე კომპიუტერული ტექნიკისა და პროგრამების გამოყენებით.

5. აკადემიური საბჭოს მიერ პრეტენდენტების შეფასების განხორციელებისა და კონკურსის საფუძველზე შერჩეული ერთი კანდიდატურის წარმომადგენლობითი საბჭოსათვის წარდგენის ბოლო ვადად განისაზღვროს არაუგვიანეს 2021 წლის 30 ივნისისა.

6. პრეტენდენტი უნდა იყოს:
ა) უმაღლესი განათლების მქონე;
ბ) ადმინისტრირების ან/და ფინანსური ან/და მატერიალური ან/და ადმინისტრაციული რესურსების მართვის სფეროში გამოცდილების მქონე (სასურველია უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მუშაობის გამოცდილების მქონე);
გ) 65 წელზე ნაკლები ასაკის.

7. პრეტენდენტმა სარეგისტრაციოდ უნდა წარადგინოს:
ა) განცხადება აკადემიური საბჭოს სახელზე (იხ. განცხდების ფორმა)
ბ) უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის (დიპლომის) ასლი;
გ) პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი;
დ) ავტობიოგრაფია (CV);
ე) კონცეფცია და სამოქმედო გეგმა;
ვ) 2 ფოტოსურათი, ზომით 3X4-ზე;
ზ) ნასამართლობის შესახებ ცნობა;
თ) სამედიცინო-ნარკოლოგიური შემოწმების ცნობა
ი)სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი, სათანადოდ გაფორმებული დოკუმენტი ? შრომის წიგნაკი ან უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული ცნობა, რომელშიც ასახული იქნება სამსახურის დაწყებისა და დასრულების სრული თარიღები და დაკავებული თანამდებობა;

დოკუმენტები წარდგენილი უნდა იქნეს სახელმწიფო ენაზე (უცხოენოვანი საბუთების შემთხვევაში საჭიროა მისი ნოტარიულად დამოწმებული თარგმანის წარდგენა).

◎ მხარე

მისაბაძი მაგალითი

სტადიონების მშენებლობა – კეთილმოწყობის ბუმმა საპროტესტო ტალღაში ჩაძირულ ჭიათურასაც უწია, სადაც სპეციალურმა კომისიამ თემურ მაღრაძის სახელობის ცენტრალური საფეხბურთო სარბიელის რეაბილიტაციისთვის საუკეთესო დიზაინის გამოვლენისა და შესაბამისი საპროექტო დოკუმენტაციის მომზადების საკითხი განიხილა.



როგორც ადგილობრივი მუნიციპალიტეტის მერიის პროექტების შერჩევის საკონკურსო კომისიის სხდომაზე ითქვა, არენის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია უნდა აკმაყოფილებდეს უეფას მეორე კატეგორიას, მიმწოდებელი (საპროექტო სამუშაოების განმახორციელებელი) ვალდებულია მოამზადოს ნაგებობის სამხრეთ ტრიბუნის განახლებისა და ჩრდილოეთ ტრიბუნის მშენებლობის დეტალური პროექტი, 10 ათას მაყურებელზე გათვლილი ტრიბუნების ქვეშ კი უნდა განთავსდეს სხვადასხვა სივრცე.

„ჩემთვის, როგორც ქალაქის თავკაცისა და რიგითი ჭიათურელისთვის, ეს პროექტი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია და გპირდებით, რომ მალე აუცილებლად გვექნება უნიკალური მდებარეობის ახალი სტადიონი“, – ეს ჭიათურის მერის **გივი მოდებაძის** სიტყვებია.

◎ მემკვიდრე

მეორე სამშობლოში

ქართული ფეხბურთის გულშემატკივარი კარგადაა ინფორმირებული 2004 წლის დსთ-ის თასის მფლობელი თბილისის დინამოელის სეხნია ვაჟის – ლადო ახალაიას წარმატებული კარიერის შესახებ, რომელიც მილანის „ინტერის“ ასაკობრივ გუნდებში დაოსტატების შემდეგ ამჟამად „შავ-ლურჯების“ 19- წლამდელთა შემადგენლობაში პრიმავერა-1-შიც თამაშობს და პერიოდულად იტალიური გრანდის ძირითად ბირთვთან ერთადაც ვარჯიშობს.

შეგახსენებთ, რომ ლომბარდიელთა 189 სმ სიმაღლის 18 წლის თავდამსხმელმა 4 სეზონზე გათვლილი პირველი პროფესიული კონტრაქტი აპენინებზე შარშან დეკემბერში გააფორმა, ამ დღეებში კი უკვე დედულეთშიც დააფასეს და მთავარმა მწვრთნელმა რობერტო ბორდინმა მოლდოვის ეროვნული ნაკრების გაფართოებულ შემადგენლობაში პირველად მიიწვია.

ჩვენი თანამემამულის დებიუტი უმაღლეს დონეზე 3 ივნისს თურქეთში ან 6 ივნისს კიშინიოვში აზერბაიჯანთან გასამართავ ამხანაგურ შეხვედრებში უნდა შედგეს.

ვიმედოვნებთ, ნიჭიერი ჭაბუკი ახალ გამოწვევასაც ღირსეულად გაუმკლავდება.

◎ ევროლიგა

ოცნებათა სასაფლაო

როგორც მოგეხსენებათ, „ბასკონიას“ შემადგენლობაში შარშან მოპოვებული ესპანეთის პრესტიჟული ჩემპიონობის შემდეგ თორნიკე შენგელია ცსკაში კიდევ უფრო მსუყე ტიტულების მოსახვეჭად გადავიდა, რასაც დიდი ვნებათაღელვა მოჰყვა.

მართალია, არმიელები უკვე არიან ვითიბი ლიგის ფინალში გასულები, სადაც ივნისში ყაზანის „უნიქსს“ შეხვდებიან, მაგრამ საიდუმლო არავისთვისაა, რომ როგორც ჩვენი თანამემამულის, ისე თვით ამბიციური რუსული კლუბის მესვეურთა და ქომაგთა უმთავრეს საზრუნავს შარშან ევროლიგაში დამსახურებული ტრიუმფის გამეორება წარმოადგენდა.

ცსკა - „ეფეს პილსენი“ 86:89

რეგულარულ სეზონში გუნდის ლიდერ ჯეიმსთან სკანდალის თანხლებით გამოთხოვების მიუხედავად დაკავებული საპატიო მეორე ადგილი, წესით, პლეიოფში შედარებით სუსტ მეტოქესთან დაჯახების ტოლფასი უნდა ყოფილიყო, მაგრამ დიმიტრის იტუდისის შეგირდებს ამ მხრივაც არ გაუმართლათ, რადგან მუდამ თანაქალაქელთა „ფენერბახჩეს“ ჩრდილში მოქცეულმა სტამბოლის „ეფესმა“ წლეულს მანამდე არნახული კონდიციები აკრიფა და წლების განმავლობაში საკმაოდ დაღვინებულ-დაბრძენებული თურქი მწვრთნელის მურად ატამანის თავკაცობით ისეთი ზემძლავრი შემადგენლობა შეკრიბა, რომ ტურნირის მსვლელობაში თანდათან მის უმთავრეს ფავორიტად ჩამოყალიბდა.

თითქოს, მოსკოველებმა სოლიდური ფორა მიიღეს, როცა მოწინააღმდეგის, სავარაუდოდ, ტრავმირებულმა მთავარმა დამრტყმელმა ძალამ შეი ლარკინმა თამაში სათადარიგოთა სკამიდან დაიწყო, მაგრამ, სამაგიეროდ, მისმა პარტნიორებმა – სერბმა ვასილიე მიჩიჩმა (25 ქულა), რომელიც მალე ნბა-ში გადადის, ბობუამ, რომელმაც კრიტიკულ ვითარებაში გაიბრწყინა, სიმონმა და ფარქვეშ შანლიმ, რომ იტყვიან, საკუთარ შესაძლებლობებს გადააჭარბეს, ერთ ეპიზოდში 21-ქულიან უპირატესობასაც კი მიაღწიეს და რომ გვეგონა, მატჩმა ინტრიგა დაკარგა, არმიელები სწორედ მაშინ ანუ დასკვნით პერიოდში კიდევ ერთხელ ჩაებნენ ბრძოლაში და მეორე ფრონტი გახსნეს.

საბოლოოდ კიოლნში გამართული ოთხთა ფინალის პირველი დუელის ბედი ბოლო წამებზე გადაწყდა, როცა ხუთი პერსონალური შენიშვნის გამო სარბიელზე აღარ იყო მიჩიჩი და კლაიბერნის, გაიტალიელებული ჰეკეტის, ფოიგტმანის, დანიელი ლუნდბერგისა და უხოვის ძალისხმევით ცსკამ თითქმის შეუძლებელი შეძლო და ჩამორჩენა მინიმუმამდე შეამცირა – 86:87, მაგრამ ნერვების ომში კლაიბერნს საბედისწერო სამქულიანი გაუცუდდა და სასწაული აღარ მოხდა.

რაც შეეხება შენგელიას, მან კარგად დაიწყო შეხვედრა, თანაკლუბელთა პირველი 4 ქულაც მან მიითვალა, ხოლო საბოლოოდ სავსებით ნორმალურ პირად მონაგრამდე ავიდა – 10 ქულა და 8 მოხსნა, მაგრამ ოთხი პერსონალური შენიშვნის მიღების შემდეგ პარკეტი დატოვა და ბოლო მეოთხედნახევარი მაყურებლის როლში გაატარა.

ასე რომ, მისი ოცნების ასრულება გადაიდო...

„ბარსელონა“ - „მილანი“ 84:82

კლუბის პრეზიდენტად ჟოან ლაპორტას დაბრუნებას რეგულარულ სეზონში კატალონიელთა გამარჯვება დაემთხვა, ოთხთა ფინალში გასვლიდან მონატრებულ ტიტულამდე კი თითქმის აღარაფერი რჩება.

სიმბოლურია, რომ უბერებელ გასოლს, მიროტიჩსა და კამპანიას ის შარუნას იასიკავიჩიუსი მოძღვრავს, ვინც ლეგენდარულ იუგოსლავ დეიან ბოდიროგასთან ერთად „ბროწეულისფერთა“ ბოლო ტრიუმფი გამოჭედა.

მართალია, მიღწევებით იტალიელები საგრძნობლად ჩამორჩებოდნენ მრისხანე მეტოქეს, მაგრამ სამაგიეროდ სრულფასოვან შემსრულებელთა რაოდენობით არ უდებდნენ ტოლს, რამაც განაპირობა კიდეც ღირსეული სანახაობა.

აპენინელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ 10-ქულიანი დეფიციტის მიუხედავად, ჩინებულად წარმართეს მეორე ტაიმი და დაწინაურებაც მოახერხეს, მაგრამ საინფარქტო ფინიშზე ბედმა მაინც წყვილში ფავორიტად მიჩნეულ „ბარსელონას“ გაუღიმა.

◎ რაგბი

რატომაც არა?..

ავსტრალიამ 1987 (ახალ ზელანდიასთან ერთად) და 2003 წლებში უკვე ორჯერ უმასპინძლა სარაგბო მსოფლიოს თასს და ადვილი შესაძლებელია 2027-ში ჰეთ-თრიქი შეასრულოს.

დიახ, ეს ქვეყანა ჯერჯერობით ერთადერთია, რომელსაც ერთი შეხედვით შორეული ფორუმის კიდევ ერთხელ მისაღებად, სადაც ჯერ არს, შესაბამისი განაცხადი უკვე შეტანილი აქვს.

ბუნებრივია, „მწვანე კონტინენტის“ წარმომადგენლებს კონკურენტებიც ჰყავდათ, მაგრამ განსჯის შემდეგ ამერიკელებმა აქცენტი 2031 წელზე გააკეთეს, ხოლო რუსეთის ვარიანტი ავტომატურად გამოირიცხა, რადგან ჩვენს ჩრდილოელ მეზობლებს უმაღლესი რანგის ოფიციალური ტურნირების გამართვა გახმაურებული დოპინგ-სკანდალების გამო აკრძალული აქვთ.

თითქოს, ყველაფერი გადაწყვეტილი იყო, მაგრამ ამ დღეებში გავრცელდა ინფორმაცია, რომ, მართალია, ორგანიზატორებისთვის ჯერ არ მიუმართავთ, მაგრამ საკუთარი კანდიდატურის წამოყენება თურმე ყატარელებსაც სურთ. მოგეხსენებათ, გაისად იქ საფეხბურთო მუნდიალია დანიშნული და საამისოდ რამდენიმე სუპერთანამედროვე ახალი სტადიონიც აშენდა, ხოლო იმისთვის, რომ ისინი არ მოცდნენ და დანახარჯიც ამოიღონ, არაბებს უკეთესი შანსის მოძებნა გაუჭირდებათ.

◎ ჩემპიონთა ლიგა

გერმანულ ტალღაზე

თომას ტუხელის სახით საფეხბურთო ევროპას ახალი გვირგვინოსანი ჰყავს, კაი ჰავერცის სახით კი – ახალი პრინცი.

შეგახსენებთ, რომ გერმანელმა მწვრთნელმა კარიერაში უკვე დაამჩნია საკუთარი კვალი „მაინცის“, „დორტმუნდისა“ და „პარის სენ-ჟერმენის“ სათამაშო სტილს, მწვერვალზე კი „ჩელსის“ თავკაცის ამპლუაში ავიდა, არადა, მიზანთან შარშანაც ახლოს იყო, მაგრამ მაშინ ფრანგული გრანდის სათავეში მყოფმა ფინალი თანამემამულეთა ზღაპრულ „ბაიერნთან“ დათმო.

სხვათა შორის, ლონდონელები ტრადიციის ერთგულნი დარჩნენ და, ისევე, როგორც 2012 წელს, ტრიუმფი შუა სეზონში მესაჭის გამოცვლის შემდეგ გამოჭედეს (მაშინ ოლიმპზე დი მატეომ აიყვანათ).

რაც შეეხება „სიტისთან“ ოქროს გოლის ავტორს, მისი სასტარტო კლუბი „ლევერკუზენი“ იყო, სადაც მიიქცია კიდეც „არისტოკრატთა“ ყურადღება.

ისიც სათქმელია, რომ ბუნდესლიგის წარმომადგენელთა წვლილი ინგლისელთა მორიგ მიღწევაში გაცილებით სოლიდური იქნებოდა, „ლაიფციგის“ ყოფილ ლიდერ ტიმო ვერნერს ახალ პარტნიორთა ძალისხმევა წყალში რომ არ ჩაეყარა და, როგორც ყოველთვის, სახიფათო მომენტები არ გაეფლანგა.

მთლიანობაში პორტუში გამართულ გადამწყვეტ შეხვედრაში ტუხელმა პირწმინდად მოუგო ტაქტიკური დუელი კოლეგა პეპ გვარდიოლას და ვერავინ იტყვის, მის შეგირდთა წარმატება დაუმსახურებელი იყოო – 1:0.

დავძენთ, რომ წელს დედაქალაქელებმა ოთხივე პირადი მატჩი მოუგეს მრისხანე მეტოქეს, რომლის კრახიც ამჯერად დე ბრუინის ტრავმამ ოფიციალურად გაიფორმა.

მარი ჯანაშია მარადისობის გზით...

მარინა ჯანაშია... მარი... იმათაც კი, ვისაც ის მხოლოდ ეკრანსა თუ თეატრის სცენაზე უნახავს, ამ სახელის გაგონებასა და გაფიქრებაზე მისი საოცარი, მშვიდი, ლამაზი ღიმილი დაუდგება თვალწინ...

ჩვენთვის ის დიდებული მსახიობისა და სახელოვანი მეგობრის მეუღლის გარდა, ყველას მეგობარი იყო... ათეული წლებია, ყოველდღიური ურთიერთობა გვაკავშირებს ხელოვანების ამ შესანიშნავ ოჯახთან, საბჭოთა პერიოდიდან, ვიდრე დღემდე — ესაა ჩვენი და მათი სიხარულითა თუ ტკივილით განვლილი დიდი დრო.

ჩვენს თვალწინ გაიარა მათი შემოქმედებითი საქმიანობის წლებმა, ვართ მათი, მათი შვილებისა და შვილიშვილების წარმატებებისა და ბედნიერების მოწმე, უამრავჯერ გვაქვს განცდილი ქალბატონი მარინას პრემიერისა თუ ბატონი თემურის საიუბილეო გამოფენის მოლოდინის სიხარული... გვქონდა ბედნიერება, გვცნობოდა ისინი თეატრისა და ხელოვნების მიღმა, ყოველდღიურ ორომტრიალში...

სათნო ქალბატონი... ალბათ, ესაა ზუსტად მარინა ჯანაშიას პიროვნული მახასიათებელი, რასაც სიტყვებით ვერ გამოხატავ, ვერ მოყვები, როგორ შეეძლო მშვიდი ღიმილითა და საოცრად რბილი, ხავერდოვანი ხმით, ნებისმიერ დროს, ნებისმიერ სიტუაციაში, ნებისმიერ თემაზე, ნებისმიერ პიროვნებასთან გამოეხატა თავისი შეხედულება, განწყობა და თანადგომა ადამიანებისა თუ მოვლენის მიმართ — ასეთი გვახსოვს, ასეთი დაგვრჩება მისი სახება ჩვენს ცნობიერებაში. ნათელი დაადგეს მის სულს მარადისობის გზაზე.

გამძლეობას ვუსურვებთ ბატონ თემურ გოცაძეს და ვიზიარებთ მის დიდ მწუხარებას.

საზოგადოება კუს ტბის ახლო მეგობართა ჯგუფი

საუკუნის თანატოლი

დესმან ლატარიას არდავიწყება

„აფხაზეთიდან დევნილებმა კიდევ ერთი მძიმე დანაკლისი განიცადეს, გარდაიცვალა აფხაზეთის დაბრუნებისთვის აქტიური მებრძოლი, აფხაზეთის დამსახურებული ექიმი დესმან კონსტანტინეს ძე ლატარია“, — ამ სამგლოვიარო განცხადების შესავალს უამრავი თბილი, გულიდან ამოსული სიტყვები მოჰყვებოდა, ამ თხუთმეტი წლის წინათ, როდესაც მისმა მეგობრებმა, კოლეგებმა და ოჯახის წევრებმა საზოგადოებას ამცნეს ბატონი დესმან ლატარიას ზეციურ საქართველოში გადასვლის ამბავი, ახლა იგი ასი წლის გახდებოდა.

შეულამაზებელი სიტყვების ადრესატი კი გახლდათ სულიერად და ფიზიკურად ულამაზესი ადამიანი, დიდი პროფესიონალი, სამშობლოზე თავგადადებული, კოლორიტული, ტრადიციებისა და დიდი სიყვარულის მატარებელი პიროვნება დესმან ლატარია. ძირძველ კოლხურ მიწაზე საუკუნის წინათ დაბადებულ 19 წლის ბიჭს დიდმა სამამულო ომმა სამხედრო სამსახურში მოუსწრო... ოდესის ოლქში, მძიმედ დაჭრილი შინ მეორე ჯგუფის ინვალიდი დაბრუნდა. დაამთავრა თბილისის სამედიცინო ინსტიტუტი და მისი ეს უკეთილშობილესი და მძიმე პროფესია ქლუხორიდან, აფხაზეთის საავადმყოფოებში გაგრძელდა. რიგითი ექიმიდან აფხაზეთის ჯანდაცვის მინისტრის მოადგილემდე უამრავი საპასუხისმგებლო თანამდებობები ეკავა ოჩამჩირესა და სოხუმის კლინიკებსა და საავადმყოფოებში, უშურველად მიენიჭა აფხაზეთის დამსახურებული ექიმის წოდება, იყო რესპუბლიკური სამედიცინო-შრომითი ექსპერტიზის კომისიის თავმჯდომარე, სადაც სიცოცხლის ბოლომდე, დევნილობის პერიოდშიც კი ილვაწა.

ძმათამკვლელმა ომმა, როგორც უამრავ ქართულ-აფხაზურ ოჯახს, ბატონ დესმანსაც დაატყო თავისი მსახვრალი ხელი. ეს გულიანი, მედგარი, მუდამ სხვათა ჯანმრთელობისა და სიცოცხლის სადარაჯოზე მდგარი უპატიოსნესი ადამიანი თავის ოჯახთან ერთად ერთ-ერთი უკანასკნელი ტოვებს ცეცხლმოკიდებულ სოხუმს. ამ ომს ეწირება მისი უმცროსი ვაჟი, მამის კოლეგა, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, ვახტანგ გორგასლის ორდენოსანი კონსტანტინე ლატარია.

ამ დიდმა ტრაგედიამ სულიერად და ფიზიკურად ვერ გატეხა ეს პატრიოტი ადამიანი. მისი შესაშური აღნაგობა, სილამაზე წარმოაჩინა ცნობილმა რეჟისორმა გიული ჭოხონელიძემ და იგი წმინდა ანთიმოზ ივერიელის როლზე მიიწვია 80 წლის ასაკში...

სიდარბაისლისა და ვაჟკაცობის განსახიერებამ, ყველასთვის ჭირთათმენისა და იმედის არდაკარგვის მაგალითის მიმცემმა ადამიანმა დევნილობაში, თბილისში დაასრულა ხანგრძლივი, ღრმადშინაარსიანი სამაგალითო სიცოცხლე. ყველას ემახსოვრება ახოვანი, თეთრი წვერით დამშვენებული, მართლაც წმინდანივით სუფთა კაცი, რომელიც დედაქალაქის ქუჩებში დინჯად დადიოდა.

დღეს იგი საუკუნის თანატოლია. ამგვარი მამულიშვილების ცხოვრების მაგალითზე იზრდებოდნენ, იზრდებიან და კვლავაც დაიზრდებიან მომავალი თაობები.

მამუკა ვაშაკიძე

ქართულ ჩაის - მეტი ყურადღება!

გარემოს **დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი, ლევან დავითაშვილი მეჩაიე ფერმერებსა და ჩაის გადამმუშავებელი საწარმოების ხელმძღვანელებს შეხვდა,** — ამის შესახებ ინფორმაციას გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო ავრცელებს. მათივე ინფორმაციით, შეხვედრა გურიაში გაიმართა, სოფელ ანასეულში, საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ჩაის სუბტროპიკული კულტურების და ჩაის მრეწველობის ინსტიტუტში, რომელსაც დაარსებიდან 90 წელი შეუსრულდა.

ლევან დავითაშვილის თქმით, კერძო სექტორისა და სახელმწიფოს მხრიდან თანადგომით, ჩაი შეიძლება გახდეს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საექსპორტო პროდუქცია მზარდი საექსპორტო დინამიკის პირობებში.

„ჩვენ გვქონდა ძალიან საინტერესო საუბარი მეწარმეებთან და ასოციაციის წევრებთან, სადაც ყურადღება დარგის პერსპექტივაზე გავამახვილეთ. საქართველოში ჩაის კულტურას თითქმის 200 წლიანი ისტორია აქვს, თუმცა, ბოლო წლებში, ახალ კონკურენტულ გარემოში, ეს მრეწველობა მნიშვნელოვნად დაზარალდა. კერძო სექტორისა და სახელმწიფოს მხრიდან თანადგომით, ჩაი შეიძლება გახდეს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საექსპორტო პროდუქცია მზარდი საექსპორტო დინამიკის პირობებში, რომელიც აგროსასურსათო მიმართულებით გვაქვს, თუმცა, ამას თანმიმდევრული და გრძელვადიანი მუშაობა სჭირდება. ამ კუთხით ჩვენ პოლიტიკაშიც გვექნება მნიშვნელოვანი ცვლილებები. პირობა მივეცით დარგის წარმომადგენლებს და სამინისტროში უკვე დამუშავებულია ტექნიკური რეგლამენტის პროექტი, რომელსაც, შეჯერების შემთხვევაში, მთავრობა დაამტკიცებს. რეგლამენტი მოაწესრიგებს ჩაის და ჩაისგან დამზადებული პროდუქციის რეალიზაციის წესებს, რათა სამართლიანი კონკურენტული გარემო შეიქმნას“, — განაცხადა ლევან დავითაშვილმა.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელმა, ლევან უჯმაჯურიძემ ჩაის კულტურის აღდგენა-რეაბილიტაციის საქმეში ცენტრის მიერ ახალი ლაბორატორიის მოწყობის შესახებ ისაუბრა, რომელიც ფერმერებს დაეხმარება ჩაისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების დაავადებებისა და მავნებლების გამოვლენასა და მათ წინააღმდეგ ბრძოლაში.

შეხვედრაზე, ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამის „ქართული ჩაი“ მენეჯერმა, ლევან ურუტაძემ, დეტალურად ისაუბრა პროგრამაში შესული იმ ცვლილებების შესახებ, რომლითაც სარეაბილიტაციო სამუშაოების სახელმწიფო დაფინანსების ოდენობები გაიზარდა. დღეისათვის, პროგრამის ფარგლებში, 1,547 ჰა გაველურებული ჩაის პლანტაციაა რეაბილიტირებული.

ყველას თავიდ აქვს სახსოვარი...

სურათზე: რაჭის ინტელიგენციის ღირსეული წარმომადგენლები — მამიდა, თაობათა აღმზრდელი, ონის ბავშვთა ბაგა-ბაღის გამგე ნახევარი საუკუნის განმავლობაში, რაიონული საბჭოს დეპუტატი და სახალხო მსაჯული მაყვალა ჯაფარიძე და ძმისწული, უნიჭიერესი ინჟინერი, ამბროლაურის საშუალო სკოლის ოქროსმედალოსანი და საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის წითელ დიპლომზე კურსდამთავრებული ჯონდო (ბუდუ) ჯაფარიძე.

დღეს ქალბატონი მაყვალას გარდაცვალებიდან 10 წელი შესრულდა.

გასული საუკუნის 50-იანი წლები
ფოტო საოჯახო ალბომიდან

აჭარაში, სანაპიროზე ტურისტები პირბადის გარეშე დადიან. ეს დაუშვებელია!



დაავადებათა **კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორის, ამირან გამყრელიძის განცხადებით, აჭარაში, სანაპიროზე ტურისტები პირბადის გარეშე დადიან, რაც დაუშვებელია.** მისივე თქმით, ადგილობრივი მოსახლეობა უფრო მეტად იცავს რეკომენდაციებს ვიდრე ტურისტები.

„მაქვს ინფორმაცია, რომ აჭარაში, სანაპიროზე ტურისტები პირბადის გარეშე დადიან გარე სივრცეებში, ეს დაუშვებელია, რადგან ქვეყანაში მიუხედავად იმისა, რომ ეპიდსიტუაცია უმჯობესდება, შემთხვევების ის ოდენობა, რომელიც გვაქვს, მაინც მაღალია. ზაფხულის პერიოდში მობილობის გაზრდით და რეგულაციების არდაცვის საფუძველზე შესაძლებელია იყოს შემთხვევების ზრდის რისკი“, — თქვა გამყრელიძემ.

ᲓᲐᲬᲔᲡᲓᲔᲑᲐ „ᲛᲐᲛᲘᲡ ᲓᲦᲔ“?!

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲝᲐ, ᲐᲮᲐᲚᲘ ᲣᲥᲛᲔ — ᲛᲐᲛᲘᲡ ᲓᲦᲔ ᲓᲐᲬᲔᲡᲓᲔᲡ. ᲐᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐᲡ BPN ᲐᲕᲠᲪᲔᲚᲔᲑᲡ.

ᲐᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ �პᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲨᲘ ᲡᲐᲙᲐᲜᲝᲜᲛᲓᲔᲑᲚᲝ ᲬᲘᲜᲐᲓᲐᲓᲔᲑᲐ ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲙᲔᲠᲫᲝ ᲡᲙᲝᲚᲘᲡ „ᲦᲝᲜᲔ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐᲡ“ ᲛᲔ-6 ᲙᲚᲐᲡᲘᲡ ᲛᲝᲡ�წᲐᲕᲚᲔᲔᲑᲛᲐ ᲬᲐᲠᲐᲓᲒᲘᲜᲔᲡ. ᲛᲐᲗᲘ ᲕᲔᲠᲡᲘᲘᲗ, ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲨᲘ ᲛᲐᲛᲘᲡ ᲓᲦᲔ 19 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲡ ᲣᲜᲓᲐ ᲓᲐᲬᲔᲡᲓᲔᲡ ᲓᲐ 3 ᲛᲐᲠᲢᲘᲡ (ᲓᲔᲓᲘᲡ ᲓᲦᲘᲡ) ᲛᲡ�გᲐᲕᲡᲐᲓ ᲣᲥᲛᲔ ᲓᲦᲔᲓ ᲣᲜᲓᲐ �გᲐᲛᲝᲪᲮᲐᲓᲓᲔᲡ.

„ᲓᲦᲔᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲨᲘ ᲐᲠ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲡ ᲛᲐᲛᲘᲡ ᲓᲦᲔ. ᲒᲕᲡᲣᲠᲡ ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲤᲔᲡᲕᲔᲑᲗᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲗᲐᲠᲘᲦᲘ ᲒᲕᲥᲝᲜᲓᲔᲡ ᲓᲐ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲛᲨᲝᲑᲚᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲐᲪ ᲒᲐᲛᲝᲕᲮᲐᲢᲝᲗ ᲛᲐᲓᲚᲘᲔᲠᲔᲑᲐ. ᲛᲘᲒᲕᲐᲩᲜᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲛᲐᲛᲘᲡ ᲓᲦᲔ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲧᲝᲡ 19 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲡ, ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲛᲐ ᲛᲬᲔᲠᲐᲚᲛᲐ ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲯᲐᲕᲐᲮᲘᲨᲕᲘᲚᲛᲐ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠ ᲥᲐᲚᲘᲨᲕᲘᲚᲡ ᲛᲘᲡ�წᲔᲠᲐ ᲬᲔᲠᲘᲚᲘ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲨᲕᲘᲚᲡ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡᲔᲣᲚ ᲠᲩᲔᲕᲐ-ᲓᲐᲠᲘ�გᲔᲑᲔᲑᲡ ᲐᲫᲚᲔᲕᲡ,“ — ᲜᲐᲗᲥᲕᲐᲛᲘᲐ ᲡᲐᲙᲐᲜᲝᲜᲛᲓᲔᲑᲚᲝ ᲬᲘᲜᲐᲓᲐᲓᲔᲑᲐᲨᲘ. �პᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲘᲡ ᲑᲘᲣᲠᲝᲡ �გᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲘᲗ ᲙᲘ, ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲨᲘ ᲛᲐᲛᲘᲡ ᲓᲦᲘᲡ ᲓᲐᲬᲔᲡᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲘ ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲗᲐ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲛᲐ ᲣᲜᲓᲐ �გᲐᲜᲘᲮᲘᲚᲝᲡ ᲓᲐ �გᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲐ ᲑᲘᲣᲠᲝᲡ ᲐᲪᲜᲝᲑᲝᲡ. ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲨᲘ ᲛᲐᲛᲘᲡ ᲓᲦᲘᲡ ᲐᲦᲡᲐᲜᲘᲨᲜᲐᲕᲐᲓ ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ ᲗᲐᲠᲘᲦᲘᲐ.

ᲙᲐᲜᲐᲓᲐᲨᲘ, ᲐᲨᲨ-ᲡᲐ ᲓᲐᲓ ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲔᲗᲨᲘ ᲛᲐᲛᲘᲡ ᲓᲦᲔ ᲧᲝᲕᲔᲚᲘ ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲡ ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲙᲕᲘᲠᲐ ᲓᲦᲔᲡ ᲐᲦᲘᲜᲘᲨᲜᲔᲑᲐ. ᲐᲛᲐᲕᲔ ᲓᲦᲔᲡ ᲐᲦᲘᲜᲘᲨᲜᲐᲕᲔᲜ ᲛᲐᲛᲘᲡ ᲓᲦᲔᲡ ᲧᲐᲢᲐᲠᲨᲘ, ᲐᲠ�გᲔᲜᲢᲘᲜᲐᲨᲘ, ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲨᲘ, ᲡᲐᲑᲔᲠᲫᲜᲔᲗᲨᲘ, ᲘᲜᲓᲝᲔ�თᲨᲘ, ᲘᲠᲚᲐᲜᲓᲘᲐᲨᲘ, ᲛᲔᲥᲡᲘ�კᲐᲨᲘ, ᲞᲐ�კᲘᲡᲢᲐᲜᲨᲘ, ᲡᲘᲜ�გᲐ�პᲣᲠᲡᲐ ᲓᲐ ᲕᲔᲜᲔᲡᲣᲔᲚᲐᲨᲘ. �გᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐᲨᲘ ᲛᲐᲛᲘᲡ ᲓᲦᲔ ᲐᲦᲓᲒᲝᲛᲘᲡ ᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲘᲓᲐᲜ ᲛᲔ-40 ᲓᲦᲔᲡ ᲐᲦᲘᲜᲘᲨᲜᲔᲑᲐ, ᲐᲕᲡᲢᲠᲘᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲮᲐᲚ ᲖᲔᲚᲐᲜᲓᲘᲐᲨᲘ ᲙᲘ ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲠᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲓᲦᲔᲡ.

ᲠᲣᲡᲔᲗᲘ Ა�გᲠᲫᲔᲚᲔᲑᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲢᲠᲐᲓᲘᲪᲘᲐᲡ ᲓᲐ ᲛᲐᲛᲘᲡ ᲓᲦᲔᲡ 23 ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲐᲚᲡ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲐᲕᲡ — ᲔᲡ ᲗᲐᲠᲘᲦᲘ ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲐᲠᲛᲘᲘᲡ ᲓᲐᲐᲠᲡᲔᲑᲘᲡ ᲓᲦᲔᲐ.

ᲢᲐᲘᲚᲐᲜᲓᲨᲘ ᲛᲐᲛᲘᲡ ᲓᲦᲔᲡ 5 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲡ ᲖᲔᲘᲛᲝᲑᲔᲜ, ᲔᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲔᲤᲔ ᲑᲣᲛᲘᲑᲝᲚᲘᲡ ᲓᲐᲑᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲓᲦᲔ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲔᲠᲘᲡ ᲛᲐᲛᲐᲓ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲩᲜᲔᲣᲚᲘ.

ᲩᲘᲜᲔᲗᲨᲘ ᲛᲐᲛᲘᲡ ᲓᲦᲔ 8 Ა�გᲕᲘᲡᲢᲝᲡ ᲐᲦᲘᲜᲘᲨᲜᲔᲑᲐ — ᲬᲚᲘᲡ ᲛᲔᲠᲕᲔ �თᲕᲘᲡ ᲛᲔᲠᲕᲔ ᲓᲦᲔᲡ — ᲩᲘᲜᲣᲠᲐᲓ „ᲠᲕᲐ“ „ᲑᲐ“ ᲐᲠᲘᲡ, ᲛᲐᲛᲐ ᲙᲘ „ᲑᲐ-ᲑᲐ“. Ე�გᲕᲘ�პᲢᲔᲨᲘ, ᲘᲝᲠᲓᲐᲜᲘᲐᲨᲘ, ᲙᲝᲡᲝᲕᲝᲨᲘ, ᲚᲘᲑᲐᲜᲨᲘ, ᲡᲘᲠᲘᲐᲨᲘ ᲓᲐ ᲐᲠᲐᲑᲗᲐ ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲣᲚ ᲡᲐᲐᲛᲘᲠᲝᲔᲑᲨᲘ ᲛᲐᲛᲘᲡ ᲓᲦᲔ 21 ᲘᲕᲜᲘᲡᲡ ᲐᲦᲘᲜᲘᲨᲜᲔᲑᲐ, ᲑᲠᲐᲖᲘᲚᲘᲐᲨᲘ ᲙᲘ ᲛᲐᲛᲔᲑᲡ ᲞᲐᲢᲘᲕᲡ ᲬᲛᲘᲜᲓᲐ ᲮᲝᲐᲙᲘᲛᲘᲡ (ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲛᲐᲛᲔᲑᲘᲡ ᲛᲤᲐᲠᲕᲔᲚᲐᲓ ᲛᲘᲘᲩᲜᲔᲕᲐ) ᲮᲡᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲓᲦᲔᲡ Ა�გᲕᲘᲡᲢᲝᲡ ᲛᲔᲝᲠᲔ �კᲕᲘᲠᲐ ᲓᲦᲔᲡ ᲛᲘᲐ�გᲔᲑᲔᲜ.

„ᲡᲐᲒᲠᲐᲓᲐ ᲤᲐᲛᲘᲚᲘᲐ“ ᲓᲐᲛᲗᲕᲐᲚᲘᲔᲠᲔᲑᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲘᲮᲡᲜᲐ

ᲔᲡ�პᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘ ᲦᲘᲠᲨᲔᲡᲐᲜᲘᲨᲜᲐᲝᲑᲐ, ᲑᲐᲠᲡᲔᲚᲝᲜᲐᲨᲘ ᲛᲓᲔᲑᲐᲠᲔ ᲢᲐᲫᲐᲠᲘ „ᲡᲐᲒᲠᲐᲓᲐ ᲤᲐᲛᲘᲚᲘᲐ“ ᲓᲐᲛᲗᲕᲐᲚᲘᲔᲠᲔᲑᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲘᲮᲡᲜᲐ. ᲢᲐᲫᲐᲠᲘ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲣᲥᲛᲔᲔᲑᲖᲔ, ᲨᲐᲑᲐᲗ-ᲙᲕᲘᲠᲐᲡ ᲓᲘᲚᲘᲡ 09:00-ᲓᲐᲜ 15:00 ᲡᲐᲐᲗᲐᲛᲓᲔ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲡ. ᲧᲝᲕᲔᲚᲘ ᲔᲠᲗᲘ ᲡᲐᲐᲗᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ, ᲐᲗᲐᲡᲖᲔ ᲛᲔᲢᲘ ᲑᲘᲚᲔᲗᲘ ᲘᲧᲘᲓᲔᲑᲐ, ᲗᲣᲛᲪᲐ ᲛᲐᲗᲘ ᲨᲔᲫᲔᲜᲐ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲘᲜᲢᲔᲠᲜᲔᲢᲘᲗᲘᲗᲐᲐ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲔᲚᲘ.

�პᲐᲜᲓᲔᲛᲘᲘᲗ �გᲐᲛᲝᲬᲕᲔᲣᲚᲘ 9-ᲗᲕᲘᲐᲜᲘ �პᲐᲣᲖᲘᲡ �გᲐᲛᲝ, ᲨᲔᲤᲔᲠᲮᲓᲐ �გᲐᲣᲓᲘᲡ ᲓᲐᲣᲛᲗᲐᲕᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲨᲔᲓᲔᲕᲠᲘᲡ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲐᲪ. ᲐᲠᲥᲘᲢᲔᲥᲢᲝᲠᲛᲐ ᲐᲜᲢᲝᲜᲘᲝ �გᲐᲣᲓᲘᲛ ᲒᲐᲠᲓᲐᲪᲕᲐᲚᲔᲑᲐᲛᲓᲔ, 1926 ᲬᲚᲐᲛᲓᲔ, ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲘᲡ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲛᲔᲝᲗᲮᲔᲓᲘᲡ ᲐᲨᲔᲜᲔᲑᲐ ᲛᲝᲐᲡᲬᲠᲛ. ᲘᲛᲔᲓᲝᲕᲜᲔᲑᲔᲜ, ᲠᲝᲛ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲐ ᲛᲘᲡᲘ �გᲐᲠᲓᲐᲪᲕᲐᲚᲔᲑᲘᲡ 100 ᲬᲚᲘᲡ�თᲐᲕᲖᲔ, 2026 ᲬᲔᲚᲡ ᲓᲐᲡᲠᲣᲚᲓᲔᲑᲐ. ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲐ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲓᲔᲑᲐ, 172-ᲛᲔᲢᲠᲘᲐᲜᲘ ᲨᲔᲜᲝᲑᲐ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ.

ᲒᲘ�გᲐᲜᲢᲣᲠᲘ ᲐᲣᲖᲘ ᲪᲐᲗᲐᲛᲑᲯᲔᲜᲖᲔ

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲨᲘ, ᲐᲮᲐᲚ ᲡᲐᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲔᲚ ᲙᲕᲐᲠᲢᲐᲚᲨᲘ ᲪᲐᲗᲐᲛᲑᲯᲔᲜᲔᲑᲘ Embassy Gardens-ᲖᲔ ᲬᲧᲚᲘᲡ ᲒᲘ�გᲐᲜᲢᲣᲠᲘ ᲐᲣᲖᲘ ᲓᲐᲛᲝᲜᲢᲐᲟᲓᲐ. ᲐᲣᲖᲘ ᲘᲛᲘᲗᲐᲐ ᲣᲜᲘᲙᲐᲚᲣᲠᲘ, ᲠᲝᲛ ᲐᲛᲐᲕᲔ ᲓᲠᲝᲡ ᲮᲘᲓᲘᲡ ᲤᲣᲜᲥᲪᲘᲐᲡᲐᲪ ᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲝᲠ ᲨᲔᲜᲝᲑᲐᲡ ᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲡ. ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘᲡ ᲐᲕᲢᲝᲠᲘᲐ ᲙᲘᲠᲐᲜ ᲢᲘᲛᲑᲔᲠᲚᲔᲘᲙᲘ. ᲐᲣᲖᲘᲡ ᲡᲘ�გᲠᲫᲔ 25 ᲛᲔᲢᲠᲘᲐ, ᲮᲝᲚᲝ ᲙᲘᲓᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲡᲥᲔ 35 ᲡᲐᲜᲢᲘᲛᲔᲢᲠᲡ ᲨᲔᲐᲓᲒᲔᲜᲡ. ᲐᲣᲖᲘ 148 ᲢᲝᲜᲐ ᲬᲧᲐᲚᲡ ᲣᲫᲚᲔᲑᲡ, ᲐᲛᲐᲡ ᲔᲛᲐᲢᲔᲑᲐ ᲥᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲢᲕᲘᲠᲗᲕᲐ, ᲐᲡᲔᲕᲔ ᲨᲔᲜᲝᲑᲘᲡ ᲡᲘᲛᲙᲕᲠᲘᲕᲔ ᲓᲐ ᲡᲐᲫᲘᲠᲙᲕᲚᲘᲡ ᲪᲕᲔᲗᲐ.

ᲡᲐ�გᲣᲚᲘᲡᲮᲛᲝᲐ ᲘᲡᲘᲪ, ᲠᲝᲛ ᲐᲣᲖᲘᲡ ᲙᲝᲜᲡᲢᲠᲣᲥᲪᲘᲐ ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲨᲘ ᲩᲐᲘᲢᲐᲜᲔᲡ, ᲨᲔᲛᲓᲔ�გ ᲙᲘ ᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ ᲢᲔᲛᲖᲘᲡ �გᲐᲕᲚᲘᲗ ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲨᲘ. ᲮᲘᲓᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲛᲝᲜᲢᲐᲟᲔᲑᲚᲐᲓ 750-ᲢᲝᲜᲘᲡ ᲒᲐᲛᲬᲔᲝᲑᲘᲡ ᲐᲛᲬᲔ ᲒᲐᲛᲝᲘᲧᲔᲜᲔᲡ.

ᲛᲘᲣᲡᲐᲤᲐᲠᲗᲐ ᲗᲐᲕᲨᲔᲡᲐᲤᲐᲠᲘ ᲛᲘᲚᲘᲐᲠᲓᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲥᲣᲩᲐᲖᲔ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘᲡ ᲡᲐᲐ�პᲔᲚᲐᲪᲘᲝ ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲡ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲘᲗ, ᲛᲐᲜᲰᲔᲢᲔᲜᲖᲔ ᲛᲘᲣᲡᲐᲤᲐᲠᲗᲐ ᲗᲐᲕᲨᲔᲡᲐᲤᲐᲠᲘ ᲐᲐᲨᲔᲜᲔᲑᲔᲜ. ᲔᲡ ᲐᲓ�გᲘᲚᲘ „ᲛᲘᲚᲘᲐᲠᲓᲔᲠᲗᲐ ᲥᲣᲩᲘᲡ“ ᲡᲐᲮᲔᲚᲘᲗᲐᲐ ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘ. ᲗᲐᲕᲨᲔᲡᲐᲤᲐᲠᲘ ᲡᲐᲡᲢᲣᲛᲠᲝ Park Savoy ᲨᲔᲜᲝᲑᲐᲨᲘ �გᲐᲘᲮᲡᲜᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠ �პᲐᲠᲙᲗᲐᲜ ᲛᲓᲔᲑᲐᲠᲔᲝᲑᲡ. �გᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲐ ᲣᲡᲐᲮᲚᲙᲐᲠᲝᲔᲑᲖᲔ ᲖᲠᲣᲜᲕᲘᲡ ᲛᲝᲢᲘᲕᲘᲗ ᲛᲘᲘᲦᲔᲡ.

ᲐᲜᲐᲚᲝ�გᲘᲣᲠᲘ �გᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲐ ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐᲛ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲘᲡ ᲛᲐᲡᲨᲢᲐᲑᲣᲠᲘ ᲠᲔᲤᲝᲠᲛᲘᲡ ᲤᲐᲠ�გᲚᲔᲑᲨᲘ ᲛᲘᲘᲦᲝ. ᲙᲔᲠᲫᲝᲓ, �გᲐᲓᲐᲬᲧᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘᲡ Მ�თᲐᲕᲐᲠ ᲥᲣᲩᲔᲑᲖᲔ ᲛᲓᲔᲑᲐᲠᲔ ᲙᲝᲛᲔᲠᲪᲘᲣᲚᲘ ᲤᲐᲠᲗᲔᲑᲘ ᲙᲝᲛᲞᲐᲜᲘᲐ McCarthy &Stone-ᲡᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲔᲪᲐᲗ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲛᲝᲮᲣᲪᲔᲑᲣᲚᲗᲐ ᲡᲐᲮᲚᲔᲑᲡ ᲐᲨᲔᲜᲔᲑᲡ.

ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲔᲗᲨᲘ ᲒᲘ�გᲐᲜᲢᲘ ᲓᲐᲘᲑᲐᲓᲐ

ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲔᲗᲨᲘ, ᲥᲐᲚᲐᲥ ᲩᲔᲓᲘᲜᲥᲢᲝᲜᲨᲘ ᲐᲜᲝᲛᲐᲚᲘᲣᲠᲘ ᲬᲝᲜᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲨᲝᲑᲘᲚᲘ ᲓᲐᲘᲑᲐᲓᲐ. ᲐᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ Unilad ᲬᲔᲠᲡ. ᲐᲮᲐᲚᲨᲝᲑᲘᲚᲘ ᲑᲘᲭᲘᲡ ᲬᲝᲜᲐ 6 �კᲘᲚᲝ�გᲠᲐᲛᲘᲐ, ᲮᲝᲚᲝ ᲛᲘᲡᲘ ᲡᲘᲛᲐᲦᲚᲔ 60 ᲡᲐᲜᲢᲘᲛᲔᲢᲠᲘ.

25 �მᲐᲠᲢᲡ, 27 ᲬᲚᲘᲡ ᲔᲛᲘ ᲡᲛᲘᲢᲡᲐ ᲓᲐ 28 ᲬᲚᲘᲡ ᲖᲐᲙᲡ ᲕᲐᲟᲘ ᲨᲔᲔᲫᲘᲜᲐᲗ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲖᲐ�გᲠᲘᲡᲘᲡ ᲓᲐᲐᲠᲥᲕᲔᲡ. ᲑᲐᲕᲨᲕᲘ ᲓᲘᲓᲘ ᲬᲝᲜᲘᲡ �გᲐᲛᲝ ᲡᲐᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲝ ᲡᲐᲡᲬᲠᲐᲤᲖᲔ ᲕᲔᲠ ᲛᲝᲐᲗᲐᲕᲡᲔᲡ.

ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲘᲐᲠᲝᲡ �პᲔᲠᲡᲝᲜᲐᲚᲛᲐ �გᲐᲛᲝᲡᲐᲕᲐᲚᲘ Ი�პᲝᲕᲐ ᲓᲐ ᲐᲮᲐᲚᲨᲝᲑᲘᲚᲘ ᲐᲬᲝᲜᲔᲡ, ᲐᲦᲛᲝᲩᲜᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲑᲐᲕᲨᲕᲘ 6 �კᲘᲚᲝ�გᲠᲐᲛᲡ ᲘᲬᲝᲜᲘᲓᲐ. �გᲘᲜᲔᲡᲘᲡ ᲠᲔᲙᲝᲠᲓᲔᲑᲘᲡ ᲬᲘ�გᲜᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲮᲛᲐᲓ, ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲨᲘ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲓᲘᲓᲘ ᲬᲝᲜᲘᲡ ᲑᲐᲕᲨᲕᲘ 1879 ᲬᲔᲚᲡ ᲐᲨᲨ-ᲨᲘ ᲓᲐᲘᲑᲐᲓᲐ. ᲐᲮᲐᲚᲨᲝᲑᲘᲚᲘᲡ ᲡᲘᲛᲐᲦᲚᲔᲛ 71,2 ᲡᲐᲜᲢᲘᲛᲔᲢᲠᲘ, ᲮᲝᲚᲝ ᲬᲝᲜᲐᲛ 9,98 �კᲘᲚᲝ�გᲠᲐᲛᲘ ᲨᲔᲐᲓᲒᲘᲜᲐ. ᲑᲐᲕᲨᲕᲘ ᲓᲐᲑᲐᲓᲔᲑᲘᲓᲐᲜ 11 ᲡᲐᲐᲗᲨᲘ ᲓᲐᲘᲝᲤᲣᲞᲐ. ᲐᲡᲔᲕᲔ ᲘᲢᲐᲚᲘᲐᲨᲘ 1955 ᲬᲔᲚᲡ ᲓᲐᲘᲑᲐᲓᲐ ᲑᲐᲕᲨᲕᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ 10,2 �კᲘᲚᲝ�გᲠᲐᲛᲡ ᲘᲬᲝᲜᲘᲓᲐ.

ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠᲛᲐ ᲛᲔᲓᲘᲘᲡᲒᲐᲜ ᲛᲐᲚᲣᲚᲐᲓ ᲘᲥᲝᲠᲬᲘᲜᲐ

ᲓᲘᲓᲘ ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠ-ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲛᲐ, 56 ᲬᲚᲘᲡ ᲑᲝᲠᲘᲡ ᲯᲭᲝᲜᲡᲝᲜᲛᲐ ᲓᲐ 33 ᲬᲚᲘᲡ �კᲔᲠᲘ ᲡᲘᲛᲝᲜᲓᲡᲛᲐ, ᲣᲔᲡᲢ-ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲔᲠᲘᲡ ᲡᲐᲡᲐᲮᲚᲔᲨᲘ ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ�გᲐᲜ ᲛᲐᲚᲣᲚᲐᲓ ᲘᲥᲝᲠᲬᲘᲜᲔᲑᲓᲐ.

ᲪᲔᲠᲔᲛᲝᲜᲘᲐ 28 ᲛᲐᲘᲡᲡ ᲩᲐᲢᲐᲠᲓᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲡ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ 30-ᲛᲓᲔ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ — ᲐᲮᲚᲝ ᲛᲔ�გᲝᲑᲠᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲝᲯᲐᲮᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲔᲑᲘ ᲔᲡ�წᲠᲔᲑᲝᲓᲜᲔᲜ. ᲑᲝᲠᲘᲡ ᲯᲭᲝᲜᲡᲝᲜᲘᲡᲐ ᲓᲐ �კᲔᲠᲘ ᲡᲘᲛᲝᲜᲓᲘᲡ ᲠᲝᲛᲐᲜᲘ 2019 ᲬᲔᲚᲡ ᲓᲐᲘ�წᲧᲝ. 2020 ᲬᲚᲘᲡ �მᲐᲠᲢᲨᲘ ᲘᲡᲘᲜᲘ ᲓᲐᲘᲜᲘᲨᲜᲔᲜ, ᲐᲛᲐᲕᲔ ᲬᲚᲘᲡ Ა�პᲠᲘᲚᲨᲘ ᲙᲘ ᲕᲐᲟᲘ ᲨᲔᲔᲫᲘᲜᲐᲗ.

ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲡᲣᲤᲗᲐ ᲡᲐᲜᲐᲞᲘᲠᲝᲔᲑᲘ

ᲔᲡ�პᲐᲜᲔᲗᲘ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲨᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲚᲘᲓᲔᲠᲘ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲛᲔᲢᲘ ᲡᲣᲤᲗᲐ ᲡᲐᲜᲐᲞᲘᲠᲝᲐ. „ᲚᲣᲠᲯᲘ ᲓᲠᲝᲨᲘᲡ“ ᲞᲠᲔᲛᲘᲐ ᲧᲝᲕᲔᲚ ᲬᲚᲘᲡ ᲘᲛ ᲡᲐᲜᲐᲞᲘᲠᲝᲔᲑᲡᲐ ᲓᲐ ᲞᲝᲠᲢᲔᲑᲡ �გᲐᲓᲐᲔᲪᲔᲛᲐ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲡᲘᲡᲣᲤᲗᲐᲕᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘᲐ ᲓᲐ ᲬᲧᲐᲚᲘ ᲣᲡᲐᲤᲠᲗᲮᲝᲐ ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲝᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ.

ᲔᲙᲝᲚᲝ�გᲘᲣᲠᲘ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲤᲝᲜᲓᲛᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲞᲠᲔᲛᲘᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲪᲔᲛᲐᲖᲔᲐ ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛᲒᲔᲑᲔᲚᲘ, ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ 49 ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲠᲔᲘᲢᲘᲜᲒᲘ ᲨᲔᲐᲓᲒᲘᲜᲐ. ᲡᲘᲐᲨᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲔᲡ�პᲐᲜᲔᲗᲘᲐ, ᲡᲐᲓᲐᲪ 614 ᲡᲐᲜᲐᲞᲘᲠᲝᲖᲔ ᲓᲐᲑᲘᲜᲫᲣᲠᲔᲑᲘᲡ ᲙᲕᲐᲚᲘ ᲕᲔᲠ ᲐᲦᲛᲝᲐᲩᲘᲜᲔᲡ. ᲛᲔᲝᲠᲔ ᲐᲓᲒᲘᲚᲖᲔᲐ ᲡᲐᲑᲔᲠᲫᲜᲔᲗᲘ, ᲡᲐᲓᲐᲪ 545 ᲡᲣᲤᲗᲐ ᲡᲐᲜᲐᲞᲘᲠᲝᲐ. ᲛᲔᲡᲐᲛᲔᲐ �თᲣᲠᲥᲔᲗᲘ, ᲐᲥ ᲓᲐᲑᲘᲜᲫᲣᲠᲔᲑᲘᲡ ᲙᲕᲐᲚᲘ Ს�პᲔᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲔᲑᲛᲐ 519 ᲡᲐᲜᲐᲞᲘᲠᲝᲖᲔ ᲕᲔᲠ ᲜᲐᲮᲔᲡ. ᲠᲔᲘᲢᲘᲜᲒᲨᲘ ᲨᲔᲕᲘᲓᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲕ